გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 97
(11 451)

8 – 11 დეკემბერი, 2000 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




**სეოკ-ის სესიის შესახებ**

13 დეკემბერს, 12 საათზე სასტუმრო „შერატონ მეტეხ-პალასში“ (თელავის ქ.№20) ჩატარდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სეოკ-ის აღმასკომი

„ლელო“ დღევანდელ ნომერში აქვეყნებს სეოკ-ის სესიის დელეგატთა სიას. (იხ. მე-2 გვ.)

### რაგბი. ეროვნული ჩემპიონატის ფინალი

# როცა ჩემპიონს ლელო ავლენს...

## დამოუკიდებელ საქართველოში რკინიგზელთა გუნდი მესამედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი



ვიდრე რაგბში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალურ მატჩს შევეხებოდეთ, ერთ სასიამოვნო ფაქტზე შევჩერდებით, რომელიც ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია და იქნებ სხვებს სამაგალითოდაც გამოადგეთ, ცხადია, თუკი მოისურვებენ. ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში გაჩნდა ჩვენში ასეთი გამოთქმა: „ყველაფერს პატრონი უნდა!“ ამ ფრაზას არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა, მით უფრო, ჩვენს ყოფას თუ გავითვალისწინებთ. პატრონი უნდა ქართულ სპორტსაც და მის ძირითად ბირთვს – სპორტულ ფედერაციებს. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ყველა ფედერაციას ჰყავს გულმხურვალე, საქმისთვის ანთებული პატრონი. აი, ქართული რაგბის თემს – ჰყავს. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე ის

იხ. მე–2 გვ.






*მილანელ მეკარე აბიატის „დეპორტივოს“ გულშემატკივრებმა დროშის ტარი ესროლეს. თავში ტრავმირებული მეკარე წყლით მოასულიერეს... ამის შემდეგ მან უფრო გახელებულმა ითამაშა...*

### არჩევნები ფედერაციებში

## ფედერაციის პრეზიდენტს და საპატიო პრეზიდენტს მადლობას უხდიან

თუ ვინმეს შეუძლია თავი მოიწონოს საანგარიშო ოთხ წლეულში ფედერაციის მიერ გაწეული მუშაობით, ერთ-ერთი მათგანი უდავოდ არის ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაცია. მიუხედავად მწირი დაფინანსებისა, ჩვენმა ნიჩბოსნებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბის შეჯიბრებებში, მათ შორის ახალგაზრდულ პირველობებში. იმართებოდა საქართველოს ჩემპიონატები, სხვა შეჯიბრებები. და ეს მაშინ, როცა გარდა ფინანსური ხელმოკლეობისა, განადგურებულია ბაზები, უვარგისია ინვენტარი, არ არის შესაძლებლობა სავარჯიშოდ წყალზე გასულ სპორტსმენებს გაჰყვეს სამაშველო კატერი და ა.შ. მაგრამ ნიჩბოსნობის გადარჩენის და შემდგომი განვითარების იმედი ისევ შემორჩა ფოთში (იქ ორი სპორტული სკოლა გაიხსნა), მცხეთაში, თბილისში, რუსთავში... დელეგატებმა წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები თავჩენილი პრობლემების მოსაგვარებლად.

ყრილობამ ერთხმად, ღია კენჭისყრით, ფედერაციის პრეზიდენტად ახალი ვადით კვლავ ბეჟან ხურციძე აირჩია. მას ალტერნატივა არ ჰყოლია. თანამდებობები ისევ შეინარჩუნეს აგრეთვე ვიცე-პრეზიდენტმა გივი ნიკურაძემ და გენერალურმა მდივანმა გენადი პატარაიამ.

საპატიო პრეზიდენტად ნდობა, ისევ ერთხმად კვლავ თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ჯონი ფირცხელაიშვილს გამოუცხადეს, რომელსაც ყრილობამ მადლობა გადაუხადა ადრე გაწეული დახმარებებისთვის. თავის მხრივ კვლავ ნდობამოპოვებულმა საპატიო პრეზიდენტმა კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა აღუთქვა ფედერაციას და სპორტის ამ სახეობის სპეციალისტებს.

# თებერვალში უკრაინის ნაკრებს ველით

2001 წელს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ექვსი ოფიციალური მატჩი ელის მსოფლიო ჩემპიონატის მერვე შესარჩევ ჯგუფში. კარსაა მომდგარი 28 მარტის რუმინელებთან გასამართი საშინაო უმნიშვნელოვანესი მატჩი. ბუნებრივია, სფფ ეროვნული ნაკრების სპარინგ-მატჩების მოძიებითაა დაკავებული. კარგა ხანია საქართველოს და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციებს შორის ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე ხანგრძლივი მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ქართველები სლავებს ორ თარიღს ვთავაზობთ – 14 თებერვალს თბილისში (ერთ დღეს გაიმართება ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებთა მატჩი) და 14 აგვისტოს, კიევში, საპასუხო შეხვედრებს. უკრაინელებს ჩვენთან თამაში 24 აპრილს სურთ, მაგრამ იმ დღეს საქართველოს ნაკრები ისრაელის გუნდს მასპინძლობს. ასევე გაურკვეველია უკრაინაში გასამართი მატჩის თარიღი, რადგან 15 აგვისტოს უკრაინელების ნაკრები ლატვიასთან თამაშობს. სფფ-ს გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით, ამჟამად, სფფ უკრაინელი კოლეგებისგან 14 თებერვლის მატჩის გამართვის თაობაზე ფაქსის მოლოდინშია, ხოლო საზაფხულო პაექრობათა ვადების დადგენის შესახებ მოლაპარაკება მოგვიანებით ისევ გაგრძელდება.






*ცეკვავენ ლევან მაშავა და ლელა საბაშვილი (ფოთი)*

## ფეხბურთის ცინცხალი ამბები



*ანდრეი შევჩენკო*

● **ანდრეი შევჩენკო, „მილანისა“ და უკრაინის ეროვნული ნაკრების ფორვარდი, დასახელებულია უკრაინის საუკეთესო ფეხბურთელად.**

● **სამშაბათს** გამართული უეფას თასის 1/16 ფინალური მატჩი გერმანიის „მიუნხენ-1860“-ისა და იტალიის „პარმას“ შორის, რომელიც დასრულდა სტუმართა გამარჯვებით 2-0, გერმანულმა კლუბმა გააპროტესტა.

● **მადრიდის „რეალისა“ და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი გუტი დაჯარიმებულია 5 ათასი ამერიკული დოლარით კლუბის იმიჯის შელახვისათვის. „ვილიარეალთან“ მატჩში მან უხამსი ჟესტი უჩვენა მეტოქე გუნდის გულშემატკივრებს, ხოლო შემდგომ, პრესკონფერენციაზე მათ „გლეხები“ უწოდა.**

● **შოტლანდიის** „სელტიკმა“ ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი იყიდა – „ლესტერის“ ნახევარმცველი ნილ ლენონი.

● **ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი გუუს ჰიდინგი მომავალი წლის სექტემბრიდან სათავეში ჩაუდგება სამხრეთ კორეის ეროვნულ გუნდს.**

# ვინ შეაჯამებს და ვინ დასახავს მომავალ ამოცანებს

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო – საარჩევნო სესიის დელეგატები

*(ქვოტები საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით)*

1. აბესაძე გია
2. აბრამიშვილი ლევანი
3. აზმაიფარაშვილი ზურაბი
4. აიწურაძე რევაზი
5. ასათიანი დავითი
6. ასათიანი კახი
7. ასანიძე გიორგი
8. ახმეტელი ლევანი
9. აფციაური ლელა
10. ბაბუაძე დავითი
11. ბაგრატიონი ჯანსუღი
12. ბალავაძე ვახტანგი
13. ბალავიძე თამარი
14. ბარათაშვილი ბიძინა
15. ბართაია ალექსანდრე
16. ბაქანიძე სამსონი
17. ბალაშვილი ნანა
18. ბერელიძე ოთარი
19. ბერიშვილი ელგუჯა
20. ბერძენიშვილი კონსტანტინე
21. ბერძენიშვილი დავითი
22. ბიგანიშვილი გურამი
23. ბლაგიძე ვახტანგი
24. ბლიაძე ომარი
25. ბურძგლა მიხეილი
26. ბოსტოლანაშვილი გივი
27. გაგოშიძე ნუხა
28. გაზდელიანი თენგიზი
29. გაფრინდაშვილი ნონა
30. გაჩეჩილაძე თენგიზი („ლელო“)
31. გაჩეჩილაძე თენგიზი (სპ.ცეკვა)
32. გეგენავა გია
33. გელაშვილი ტრისტანი
34. გვეტაძე ზიგფრიდი
35. გოგლიძე რამაზი
36. გონაძე იური
37. გოგოლაძე ლერი
38. გოიაშვილი ვლადიმერი
39. გოგიაშვილი ომარი
40. გრძელიშვილი ვიტალი
41. გრძელიშვილი ოთარი
42. გუგავა ბერდია
43. გურგენიძე დავითი
44. გურგენიძე რამაზი
45. გურასაშვილი ავთანდილი
46. გობეჯიშვილი დავითი
47. დავიდოვი ალექსანდრე
48. დარჩია ბეგი
49. ექვთიმიშვილი ნოდარი
50. ვახანია ოთარი
51. ვაზაგაშვილი გიორგი
52. ვახტანგაძე მუხრანი
53. ზენაიშვილი ემზარი
54. ზერეკიძე ლალი
55. ზვიადაძე ნოდარი
56. ზოდელავა ანდრო
57. ზუხბაია ამირანი
58. თავდიშვილი აკაკი
59. თალაკვაძე გივი
60. თედიაშვილი ლევანი
61. თევზაძე თამაზი
62. თოფაძე გოგი
63. თურმანიძე ზაზა
64. იაშვილი გიორგი
65. იაშვილი ვალიკო
66. იმნაიშვილი თამაზი
67. კანკავა ვლადიმერი
68. კაპანაძე ნუგზარი
69. კაჭარავა ვაჟა
70. კენჭაძე თორნიკე
71. კეტაშვილი გელა
72. კვარაცხელია ვლადიმერი
73. კინწურაშვილი დავითი
74. კირვალიძე რომანი
75. კობალაძე არჩილი
76. კურტანიძე ელდარი
77. კურტანიძე ნოდარი
78. კუხიანიძე ალბერტი
79. კოტორეიშვილი სოსო
80. ლიპარტელიანი სოსო
81. ლომიშვილი კახა
82. ლორთქიფანიძე თეიმურაზი
83. ლოსაბერიძე ქეთევანი
84. მაისურაძე სიმონი
85. მაკაევი გიორგი
86. მარტყოფლიშვილი ანზორი
87. მაჭავარიანი რევაზი
88. მაჩაიძე ედიშერი
89. მჭელაძე მერაბი
90. მდინარაძე თამაზი
91. მელია რომანი
92. მესხი ლეილა
93. მესხი ნარგიზა
94. მეკრავიშვილი ივანე
95. მეძმარიაშვილი ირაკლი
96. მეჭურჭლიშვილი იოსები
98. მეტრეველი მერაბი
99. მეტრეველი როინი
99. მიქაძე ავთანდილი
100. მიქაძე რობერტი
101. მიმინოშვილი ოთარი
102. მნათობიშვილი მურთაზი
103. მუსელიანი ივახტანგი
104. მიქიაშვილი თეიმურაზი
105. მჭედლიძე ცისანა
106. ნაცვლიშვილი პაატა
107. ნიკურაძე გივი
108. ნუცუბიძე ვაჟა
109. ობგაიძე შალვა
110. ოსიპოვი იური
111. პაპიტაშვილი გურამი
112. პატარაია გენადი
113. ჟღენტი ტარიელი
114. ჟორდანია მერაბი
115. რატიშვილი მერაბი
116. რობაქიძე რევაზი
117. რურუა რომანი
118. რუხაძე თენგიზი
119. საბანაშვილი ყარამანი
120. საკანდელიძე ზურაბი
121. სალუქვაძე ნინო
122. სამსონაშვილი მამუკა
123. სანეევი ვიქტორი
124. სანთელაძე ედვარდი
125. თათარაძე გურამი
126. სახვაძე მორისი
127. სიმონიანი ლევანი
128. სიხარულიძე მიხეილი
129. სიხარულიძე რუსუდანი
130. ფალიანი ზურაბი
131. ფირცხალაიშვილი ჯონი
132. ქათამაძე გოგი
133. ქაცარავა ზურაბი
134. ქორქია მიხეილი
135. ქორქია ოთარი
136. ქუთათელაძე ვახტანგი
137. ქურხაშვილი ლევანი
138. ღონღაძე ანზორი
139. ყაზარაშვილი თემური
140. შავლაყაძე რობერტი
141. შეროზია ამირანი
142. შოშიტაიშვილი ომზარი
143. შუბლაძე ვაჟა
144. შუღაროვი გივი
145. ჩარკვიანი გოგი
146. ჩარუა აკაკი
147. ჩიმიშკიანი რაფაელი
148. ჩიხრაძე გელა
149. ჩოჩიშვილი შოთა
150. ჩხარტიშვილი გივი
151. ცალქალამანიძე მირიანი
152. ციბაძე ავთანდილი
153. ციმაკურიძე დავითი
154. ცომაია თომზა
155. ცქიტიშვილი გივი
156. ძაგანია ჭემალი
157. ძასოხოვი გოჩა
158. წაქაძე კობა (მამა)
159. წაქაძე კობა (შვილი)
160. წულუკიძე ილია
161. ჭაბუკიანი თეიმურაზი
162. ჭანტურია ვლადიმერი
163. ჭაფოძე შალვა
164. ჭითანავა ოთარი
165. ხაბარელი შოთა
166. ხაბელოვი ლერი
167. ხაზარაძე მამუკა
168. ხარაიშვილი თამაზი
169. ხაჩიძე გივი
170. ხახალეიშვილი დავითი
171. ხაჯიშვილი ნოდარი
172. ხომერიკი როლანდი
173. ხოფერია რუსუდანი
174. ხუბულური თემური
175. ხურციძე ბეჟანი
176. ჯალაღონია გიული
177. ჯაფარიძე ირაკლი
178. ჯორჯიკია ნოდარი
179. ჯუღელი მზია
180. ჯღარკავა ბიძინა.

პირველი გვერდიდან

# როცა ჩემპიონს ლელო აკლდება...

კაცია, უნარიანი, დღედაღამ მინდობილ საქმეზე დაფიქრებული ხელმძღვანელი რომ ეთქმის. ეს ეტყობა კიდეც ჩვენი რაგბის სამყაროს, მის მაღალ ავტორიტეტს, თუნდაც საერთაშორისო სარბიელზე.

ჩვენი ფედერაციების მეტი წილი ხელმძღვანელები, სხვის ხელებში შემყურე, მომლოდინე, თავიანთი უნიათობის ათასი მიზეზით გამართლებაში გაწაფული „წინამძღოლები“ არიან. არადა, თუ გული გულობს, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ვითარებაში შეიძლება რაღაცის გაკეთება, თუნდაც იმდენის მაინც, მინდობილი საქმე შენს ხელში არ ჩაკვდეს. რაგბში ეროვნული ჩემპიონატის ავტორიტეტის ასამაღლებლად (ზოგიერთი ნიუანსის მიუხედავად), ფედერაციამ ბიძინა გეგიძის თავკაცობით, უთუოდ ბევრი რამ გააკეთა. წლევანდელი ჩემპიონატიც ასე საინტერესოდ რომ დასრულდა, ამის დასტურია. ფინალში გამარჯვებულს კი შესანიშნავი პრიზი, ნამდვილად ხელოვნების ნიმუში – ორიგინალური „ბზის თასი“ ელოდა, რომელიც ბიძინა გეგიძემ ყოფილ მორაგბეებს, მოქანდაკეებს პაატა ნარიმანიშვილს და დავით ტაბატაძეს დაუკვეთა.



აი, ამ თასისთვის იბრძოდნენ გასულ სამშაბათს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე თბილისის გუნდები „ლოკომოტივი 1“ და სტუ-„ყოჩები“. ეს იყო ღირსეულ მეტოქეთა პაექრობა, როცა შეიძლებოდა მხოლოდ სპორტულ იღბალს მოეტანა გამარჯვება ერთ-ერთი გუნდისთვის. ბევრის, მათ შორის სპეციალისტთა პროგნოზი, რკინიგზელთა უპირატესობისკენ იხრებოდა, მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა. მეტიც, ანგარიში პირველებმა სტუ-„ყოჩების“ მორაგბეებმა გახსნეს, როცა კახა კობახიძემ შესანიშნავი ოსტატობით გამოიყენა ჯარიმა. ანალოგიური სიტუაციიდან ანგარიში მალე გაქვითა რკინიგზელმა ბობა კვინიხიძემ. პაექრობა უფრო გამძაფრდა, რასაც რკინიგზელთა მხრიდან ლელო მოჰყვა. ამასობაში კახა კობახიძე უხეშობისთვის დროებით გააძევეს მინდვრიდან. ამ 10 წუთში „ლოკომოტივმა“ რიცხობრივი უპირატესობა მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყენა. დასჯილი სტუ – „ყოჩები“ კი მოზღვავებული ენერგიით უტევდნენ მეტოქეს და რატი ურუშაძემ ანგარიშში სხვაობაც შეამცირა. ამასთან, მანვე ორჯერ ვერ გამოიყენა ჯარიმა. 10-წუთიანი სასჯელი ამოიწურა თუ არა, კახა კობახიძემ თამაშში შესვლისთანავე გამოისყიდა „დანაშაული“ – საჯარიმო გაიტანა. მატჩის პირველი ნახევარი ლოკომოტიველებმა მოიგეს – 10:9.

განახლებულ ტაიმში გიორგი ბუგიანიშვილმა კიდევ ერთი ლელო გაიტანა, მესამე ლელო კი – სულ მალე სორდიამ. კვინიხიძემ კი გარდასახვით იყოჩაღა. „ლოკომოტივი“ ამ დროს უკვე 10 ქულის სხვაობით იგებდა მატჩს, მაგრამ მეტოქე არ გატყდა. საკანდელიძემ ლელოთი და კობახიძემ გარდასახვით, ანგარიში გაათანაბრეს – 22:22. რკინიგზელები მატჩის მიწურულს წინ გავიდნენ 25:22 (საკანდელიძე), მაგრამ ცოტა დრო კიდევ რჩებოდა, რაც შესანიშნავად გამოიყენა კახა კობახიძემ – 25:25.

დაინიშნა დამატებითი პერიოდი, რაც რადიკალურად განსხვავდებოდა ძირითად დროში კორექტული და აზარტული თამაშისგან. მეტოქეები, როცა შეიძლებოდა ჩემპიონის ბედი ერთ შეცდომას გადაეწყვიტა, თავს ვეღარ აკონტროლებდნენ, იმატა უხეშობამ. პირველივე საჯარიმო, ისევე როგორც მატჩის დასაწყისში, კარგად გამოიყენა კობახიძემ – 28:25. რკინიგზელებსაც ასევე საჯარიმოდან ორჯერ მიეცათ ანგარიშის გათანაბრებისა და წინ გასვლის შესაძლებლობა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს საწადელს – 28:28.

გამარჯვებული გამოვლინდა ლელოთა რაოდენობით. აქ კი შეფარდება ასეთია – 3:1 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ. ახალი თასი გადაეცა რკინიგზელებს (მწვრთნელი თემურ ბენდიაშვილი), ამჯერად – მესამედ! დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი რაგბში 1990 წლიდან ტარდება. „ლოკომოტიველებმა“ ქვეყნის ჩემპიონობა პირველად 1992 წელს მოიპოვეს (მაშინ გუნდს „ვესტა“ ერქვა), მეორედ– 1994 წელს („მამული“) და აი ახლა – მესამე გამარჯვება!

**ირაკლი ხანდამიშვილი**

**სპორტული ცეკვები** **საქართველოს თასი**

# რეკორდული ნომინაციები მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობით

საქართველოს წარმომადგენელთა გარდა, სომხეთის და აზერბაიჯანის რჩეული წყვილები მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის“ კომპლექსში გამართულ საქართველოს თასის პირველ ღია გათამაშებაში. არენაზე 142 წყვილი გამოვიდა. საგულისხმოა, რომ სპორტულმა ცეკვებმა მიმდევრები გაიჩინა ფოთში, სენაკში, ზუგდიდში... გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ 18 ნომინაციაში. პროგრამაში იყო ლათინო-ამერიკული და ევროპული ცეკვები ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

***„ბრინჯაოს“ ნომინაცია. ლათინო-ამერიკული პროგრამა. 4-6 წლიანები:*** 1. ილო ჰელიძე — თამარ კვარაცხელია (ფოთი, მწვ. თ. თოდუა), 2. დათო ჩახაია — მარიამ პირტაძე (ზუგდ), 3. თორნიკე კაციაშვილი — მადონა ინასარიძე (რუსთ); ***6-8 წლიანები:*** 1. მიხეილ როსტომიანი — თამთა შონია (თბ. მწვ. ს. ტუდინოვი), 2. დათო კვარაცხელია — გვანცა გუნავა, 3. ავთ. ახალაძე — ნინო ბუაძე (ორივე — ზუგდ); ***9-11 წწ:*** 1. როლანდ ბაირამოვი — ჯულიეტა ბარგნარი (მწვ. ს. ტუდინოვი), 2. დმიტრი ევდოკიმოვი — მაია მალიანოვა (ორივე — თბ), 3. მამუკა გიგიბერია დასთან მარიანასთან ერთად (ფოთი); ***12-13 წწ:*** 1. გარიკ ხაჩატურიანი — ელენა სიგომონიანი (მწვ. ს. ტუდინოვი), 2. ედვარდ მანუგარიანი — ანა გაჯანიძე, 3. დათო მარჯანიძე — ნათია ალანია (სამივე — თბ); ***14-15 წწ:*** 1. დათო ჯანდიერი — ნინო ფორჩხიძე (მწვ. ნ. შიხია), 2. დავით აბრამიშვილი — სოფიკო წილაშვილი, 3. გია ჯანდიერი — ანა სილამტიევა (სამივე — თბ);

***„ვერცხლის“ ნომინაცია. 1. ლათ. ამერ. პროგრამა. 9-11 წწ:*** 1. დენის ტრეტიაკოვი — გულიკო კვირიკაშვილი (თბ, მწვ. ს. ტუდინოვი), 2 ირაკლი თოდუა — ეკატერინა ჩხარტიშვილი (ფოთი), 3. სპარტაკ შენგელია — ელენა ნუგუა (ზუგ); ***12-13 წწ:*** 1. ნიკა იმნაძე — თამარ ხუროშვილი (ფოთი, მწვ. თ. თოდუა), 2. დათო მარჯანიძე — მეგი მეტრეველი), 3. პაველ კაიზერი — ელენა ტერ-პოლოსიანი (ორივე — თბ); ***14-15 წწ:*** 1. ლევან ფიფია — მარინა გელოვანი (ზუგ; ჯვარი, მწვ. შეროზია), 2. კობა კობაური — ანა ნონიაშვილი (მწვ. ს. ტუდინოვი), 3. გიორგი პაპისაშვილი — ანა ხალათიანი (ორივე — თბ); ***16 წ. და ზევით:*** 1. ლევან ფიფია — მარინა გელოვანი (მწვ. შეროზია), 2. ბექა აკობია — ცირა კვარაცხელია (ორივე — ზუგ), 3. დათო მარჯანიძე — ნინო ფხაკაძე (თბ); ***16 წ და ზევით:*** 1. ელიბარ მამედოვი — ელენა შოტვინა, 2. დმიტრი ლატინი — ირინა მირგასანოვა (ორივე — ბაქო), 3. ალბ ისახანოვი — ხატია პაპისაშვილი (თბ); ***16 წ და ზევით:*** 1. დმიტრი ლატინი — ირინა მარგასანოვა (ბაქო), 2. დათო და ივეტა ანანიაშვილები, 3. დენის ალმანოვი — ნატო ბაგიაური (ორივე — თბ).

***„ოქროს“ ნომინაცია. 9-11 წწ:*** 1. გიორგი მანველიძე — ლელა ბაზელი (თბ. მწვ. ს. ტუდინოვი), 2. ლაშა თოდუა — სალომე მიქაბერიძე (ფოთი, მწვ. თ. თოდუა), 3. ნინა გულია — ანა ქირია (ზუგ). ***ევროპული ცეკვები „ოქროს“ ნომინაციაა 9-11 წ.*** 1. როლანდ ბაირამოვი— ჯელიეტა ბარ-გნარი (თბ, მწვ. ს. ტუდინოვი), 2. თოდუა — მიქაბერიძე (ფოთი, მწვ. თ. თოდუა), 3. მანველიძე — ბაზალი; ***12-13 წწ:*** 1. რაფაელ გასანოვი — ვახა რახმანოვა 2. ერვენტი პარადი — სამირა კუდოვა (ორივე — ბაქო), 3. ერნესტ არუთინიანი — რიტა მაშეჩკოვა (თბ); ***14-15 წწ:*** 1. ფარიდ მურთაზოვი — ნარგიზ ოსმანოვა (ბაქო), 2. პაიკ ბალასანიანი — აიდა გოვმასიანი (ერევანი), 3. დათო და ივეტა ანანიაშვილები (თბ); ***12-13 წწ:*** 1. გიორგი თორდია — ხატია ფოჩხიძე (აფხაზეთი), მწვ. რ. არჩია), 2. გიორგი ბაკურაძე — სოფიკო გვალია (ფოთი), 3. სერგეი ელიზაროვი — თამარ კუდუხოვა (თბ) სტანდარტი. ***9-11 წწ:*** 1. ბაირამოვი — ბარ-გნარი, 2. თოდუა — მიქაბერიძე, 3. მანველიძე — ბაზალი, ლათ. ამერ. პროგრამა. ***თავისუფალი სტილი. 12-13 წწ:*** 1. ვააზ მარქარიანი — გალინა გალუსტიანი (ეჩმიაზინი), 2. გიორგი კალანდაძე — ალიონა სტეფანიდი (თბ. მწვ. ს. ტუდინოვი), 3. არშარ ერემიანი — არმინა ტოკლასიანი (ერევანი); ***თავ. სტილი. ევროპული ცეკვების პროგრამა. 14-15 წწ:*** 1. ბალასანიანი — გოვმასიანი, 2. ლევან მაშავა — ლელა საბაშვილი (ფოთი), 3. დათო და ივეტა ანანიაშვილები. ***პროფესიონალები. ლათ. ამერ. პროგრამა:*** 1. ვლ. სარქისიანი — ეკა შენგელია (თბ. მწვ. ა. ვართანიანი), 2. ირაკლი გულუა — ეკა ლექავა (სენაკი), 3. ალექსანდრე ბაბაიანი — ანა ბაბაიანი (და-ძმა, თბ). ამ პროგრამაში გამარჯვებულები სარქისიან-შენგელიას წყვილი 9-10 დეკემბერს როსტოვში პროფესიონალთა გრანპრის თასზე იასპარეზებენ.



რობერტ ბაგოიანის ფოტო

**რომან არჩაია,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი




# არველაძემ ბიჭები ვერ გაახალისა

*ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი.*

**დინამო (თბილისი) — ვიტ ჯორჯია (თბილისი) 0–1**

**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე (კანდელაკი, 38), შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათვაძე (ბურდული, 56), სიჭინავა, მიქაძე, ზირაქიშვილი (გოგოლაძე, 73), ჯინჭარაძე.

**ვიტ-ჯორჯია:** მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, თ. კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, გოჩაშვილი (ინწკირველი, 85), გვაზავა (ლაშა ნოზაძე, 60), დილმელაშვილი, სულთანიშვილი (დეკანოსიძე, 65), გიორგი ქორიძე, მელქაძე.

*გოლი:* მელქაძე (74).

*გააფრთხილეს:* ჯ. მუჯირი (24), კანდელაკი (75).

*მსაჯი:* ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი).

„ლოკომოტივთან" მეჩვიდმეტე ტურში მარცხმა „დინამოზე" დამთრგუნველად იმოქმედა. ფეხბურთელებს სტრესი, სამწუხაროდ, სათასო მატჩშიც გამოჰყვათ, რაც მეორე ტაიმში სრულად აისახა მათ თამაშზე.

პირველ ტაიმში გუნდებმა თითო სახიფათო მომენტი შექმნეს ერთმანეთის კართან. შესვენების შემდეგ ვიტელებმა მეტოქეზე ბევრად უფრო მწყობრად ითამაშეს და საწადელსაც მიაღწიეს. 68-ე წუთზე „ვიტ-ჯორჯიას" ერთ-ერთი შეტევისას გრიშიკაშვილი შეცდა და ახლოდან დარტყმული იოლი ბურთი გაუშვა, მაგრამ მანამდე მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა. ეპიზოდმა ვეტერინარი ფეხბურთელების აღშფოთება გამოიწვია. თუმცა, საბედნიეროდ, მსაჯებმა ფეხბურთელები თავიანთი გადაწყვეტილების სისწორეში დაარწმუნეს და მატჩი მშვიდობიანად გაგრძელდა.

ჩაუთვლელმა გოლმა ვიტელები გაახელა და მათი გოლის გატანის შემდეგი მცდელობა შედეგიანად დასრულდა. სტუმრებს ისევ გრიშიკაშვილი შეეშველა, ჭანკოტაძის ჯარიმიდან დარტყმული ბურთი ვერ დაიმორჩილა, ცხვირწინ მოიგერია, მელქაძემაც კარგად ისარგებლა მეკარის შეცდომით და გამარჯვების გოლი გაიტანა.

ვიტელთა თავკაცმა თემურ მახარაძემ, მოგების მიუხედავად, პროგნოზისაგან თავი შეიკავა, თუმცა ნათელია „დინამოს" ნახევარფინალში გასასვლელად მცხეთაში ფიცხელი ბრძოლა ელის, რადგან მიღწეული უპირატესობის დათმობას „ვიტ-ჯორჯია" ნამდვილად არ აპირებს.

დინამოელთა თავკაცმა რეზო არველაძემ მატჩის შემდეგ სინანულით განაცხადა, რომ ვერა და ვერ განაწყო და გაახალისა თავისი ბიჭები ვიტ ჯორჯიასთან მატჩისათვის.

**მიხეილ საბახტარიშვილი**



დინამო (თბილისი) — ვიტ ჯორჯია 1-0

# ინტეგრაცია ევროპაში



გუშინწინ, პანათინაიკოსი — ვალენსიას მატჩის მხილველები უთუოდ შეამჩნევდით ამ თამაშის ქართველ დირექტორს უეფადან. დიახ, სფფ-ს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილი დსთ-ს ქვეყნების მატჩების გარდა, ინიშნება უეფას დირექტორად, თანაც პირველად ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე.

დავით პეტრიაშვილი, რომელმაც წელს ბრწყინვალედ გაართვა თავი ჰ. არნემში გამართული ევრო-2000-ს 3 მატჩის დირექტორობას, უეფამ კიდევ ერთხელ დააწინაურა და მოყვარულთა კომიტეტის წევრობიდან თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა.

სფფ-ს მიზანმიმართულმა მუშაობამ, პროგრესული გზების ძიებამ და დანერგვამ, ფიფასა და უეფას ხელმძღვანელებთან ხშირმა და ნაყოფიერმა კონტაქტებმა შედეგი გამოიღო.

ამის კიდევ ერთი ნათელი დასტურია სფფ-ს გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას უეფას ექსპერტად დანიშვნა ამ ცოტა ხნის წინ. გუშინ კი უეფამ კიდევ ერთი ნდობა გამოუცხადა სფფ-ს: ამიერიდან, ვ. ჩოლარია უეფას ლექტორი გახდა და ამ ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ პროგრეს-კურსებზე ლექციებს წაიკითხავს ადმინისტრაციულ საკითხებზე. უეფამ მოიწონა ვ. ჩოლარიას მიერ შემოთავაზებული საკითხები და დაამტკიცა ისინი. ესაა:

1. ეროვნული ფედერაციის სტრუქტურა. მუშაობის ორგანიზაცია. შიდა შეჯიბრებების ჩატარება;

2. ფინანსური და იურიდიული საკითხები ეროვნული და რეგიონული ფედერაციის მუშაობაში;

3. საორგანიზაციო სამუშაო საფეხბურთო კლუბში. ურთიერთობა კლუბსა და ეროვნულ ფედერაციას შორის;

4. საერთაშორისო ოფიციალური და ამხანაგური მატჩების ორგანიზება კლუბებისა და ნაკრებების დონეზე;

5. ეროვნული ფედერაციების ურთიერთობა ეროვნული სპორტის სამინისტროსთან და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან.

ამას გარდა, უეფა მეექვსე საკითხს თავად დაადგენს. 2001 წლიდან სფფ-ს გენერალური მდივანი უეფას ეგიდით გამართულ პროგრეს-კურსებზე ლექციების წაკითხვას დაიწყებს.

მანამდე კი, სულ რამდენიმე დღეში, თბილისს ეწვევა უეფას დახმარების დეპარტამენტის მენეჯერი რობერტ ბოსერტი, რომელიც ეროვნული და „ლოკომოტივის" სტადიონების ინსპექტირების გარდა, სფფ-სთან პარტნიორობის მომავალ გზებზეც იმსჯელებს. ბოსერტი სფფ-ს ახალ პროექტებსაც განიხილავს. ასევე დეკემბრის ბოლოს უეფას ეგიდით თბილისში ჩატარდება პროგრეს-კურსები საფეხბურთო კლუბებისა და ნაკრები გუნდების ექიმთათვის. მას დანიის საფეხბურთო კავშირის მთავარი ექიმი დოქტორი კროიცფელდი უხელმძღვანელებს.

მოკლედ, სფფ მსოფლიო და ევროპულ ფეხბურთში ინტეგრაციის გზაზე წარმატებით მიემართება.

**მ. კვარაცხელია,**
სფფ-ს პრეს-ატაშე

# ტექნიკური შედეგები

**დილა (გორი) — მერანი-91 (თბილისი) 1–2**

**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი, გრიგალაშვილი (ხოხობაშვილი, 85), ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, საყვარელიძე (ციცქიშვილი, 46), ფეზუაშვილი, ეჯოშვილი, რევაზიშვილი, ხორგუაშვილი, ხმალაძე (კოტორაშვილი, 46).

**მერანი-91:** დევაძე, ბოლქვაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, კობესაშვილი, გ. კვეტენაძე, კოშკაძე (გ. ილურიძე, 76), ჭინჭარაული (კაკუბავა, 79), დ. გოდერძიშვილი (ბაჯელიძე, 82), მინაშვილი.

*გოლები:* 0-1 ბოლქვაძე (2), 0-2 გოდერძიშვილი (13), 1-2 ხორგუაშვილი (52).

*გააფრთხილეს:* კობესაშვილი, აკოფიანი, რევაზიშვილი, ცქიფურიშვილი.

*მსაჯი:* სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

**კოლხეთი-1913 (ფოთი) — ტორპედო (ქუთაისი) 1–1**

**კოლხეთი-1913:** მ. გვასალია, ქუნთელია, პაპავა, გ. ჩიტაია, ჭანტურიძე, მაღლაკელიძე, ღაღანიძე, ახალკაცი, გოგიაშვილი, შავგულიძე (ხუჭუა, 53, კრასოვსკი, 73), ე. გვასალია.

**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი, შალამბერიძე (შეყრილაძე, 46), ხვადაგიანი, მახვილაძე, ზ. არჩვაძე, გუჩუა (თავბერიძე, 84), ასათიანი, გაბიდაური, მ. ბობოხიძე (კ. კვეტენაძე, 60), იონანიძე.

*გოლები:* 0-1 იონანიძე (5), 1-1 გოგიაშვილი (81)

*გააფრთხილეს:* ასათიანი, ახალკაცი, იონანიძე.

*მსაჯი:* დავით სანაია (სოხუმი).

**სამგურალი (წყალტუბო) — ლოკომოტივი (თბილისი) 1–2**

**სამგურალი:** ბოდოკია, ბერაძე, დ. ქელიძე, თირქია, მ. ჯინჭარაძე, ბაბუნაშვილი, ფხაკაძე, კიკვიძე (ჯიქია, 84), გოლეთიანი (ქობულაძე, 46), ღონღაძე, ქუთათელაძე.

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, გილაური, კვარაცხელია, ქიქველიშვილი, ხუროძე, ლ. ქელიძე (გონჩაროვი, 46), დ. არჩვაძე (თოდუა, 46), გაგუა (რუსია, 46).

*გოლები:* 0-1 ბალაშვილი (16), 1-1 ღონღაძე (45, პენ.), 1-2 რუსია (76).

*გააფრთხილეს:* ბერაძე, აბრამიძე.

*გააძევეს:* ბერაძე

*მსაჯი:* ავთანდილ ორდინიძე (ონი).

# თუ ოცნებაა, ოცნება იყოს!



უეფას მედია დირექტორი ფრიც ალსტრიომი

ამას წინათ, მოსკოვში გაიმართა დსთ-ს ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშეთა სპეციალური სემინარი, რომელსაც ამ მიზნისთვის საგანგებოდ ჩამოსული უეფას მედია დირექტორი, დანიელი ფრიც ალსტრიომი უძღვებოდა. ამ შეხვედრას თავისი წინათქმაც ჰქონდა: 1999 წლის დეკემბრის დასაწყისში, ბრიუსელში პირველად ჩატარდა უეფას ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების (ასოციაციების) და საკლუბო გუნდების პრეს-ატაშეთა შეკრება, რომელსაც საქართველოდან თქვენი მონა-მორჩილიც ესწრებოდა. ამ ღონისძიებამდე ცოტა ხნით ადრე, უეფამ ხაზგასმით აღნიშნა მედიის დამსახურება და როლი ევროპული ფეხბურთის განვითარებაში.

მასმედია მსოფლიო ფეხბურთის განუყრელი ნაწილია. თუ მსოფლიოში დღეს ფეხბურთელები ვარსკვლავებად გვევლინებიან, ეს პირველ რიგში ჟურნალისტთა დამსახურებაა. მათ მიერ ჩატარებული სხვადასხვა რეიტინგი და გამოკითხვები ხომ ფეხბურთის პოპულარიზაციის უთვა-

იხ. მე-7 გვ.

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა I–XVII ტურის სტატისტიკა

| | 2000-2001 | | | 1999-2000 |
|---|---|---|---|---|
| | ტურში | სულ ჩემპიონატში | საშ. ჩემპიონატში(%) | საშ.ჩემპიონატში(%) |
| 1. მატჩი | 6 | 101 | | |
| 2. მოგება | 4(1-3) | 81(50-31) | 80,2%(49,5%-30,7%) | 76,9%(51,5%-25,4%) |
| 3. ფრე | 2 | 20 | 19,8% | 23,1% |
| 4. გოლი | 13(6-7) | 242(146-96) | 2,40(1,45-0,95) | 2,49(1,56-0,93) |
| 5. პენალტი | 2(2-0) | 36(25-11) | 0,36(0,25-0,11) | 0,27(0,16-0,11) |
| რეალიზებულია | 2(2-0) | 26(19-7) | 72,2%(76,0%-63,6%) | 75,0%(72,7%-78,6%) |
| 6. გაფრთხილება | 25(12-13) | 332(154-178) | 3,28(1,52-1,76) | 3,04(1,39-1,69) |
| 7. გაძევება | 0 | 16(6-10) | 0,16(0,06-0,10) | 0,25(0,12-0,13) |
| 8. მაყურებელი | 14 000 | 174 500 | 1 728 | 1 607 |
| 9. მსაჯობის შეფასება | | | | |
| უმაღლესი | 9,1 | 9,5 | | |
| უმდაბლესი | 8,3 | 6,3 | | |
| საშუალო | 8,57 | 8,25 | | 8,26 |
| 10. მატჩის ორგანიზაციული შეფასება: | | | | |
| უმაღლესი | 5 (ტორპედო-დილა, სიონი-კოლხეთი 1913, დინამო ბ.-ვიტ ჯორჯია) | 5 | | |
| უმდაბლესი | 4 (თსუ-მერანი91, გორდა-იბერია, დინამო თბ.-ლოკომოტივი) | 2 | | |
| საშუალო | 4,5 | 4,15 | | 3,79 |
| 11. ბომბარდირი | | რ. ზირაქიშვილი (დინამო თბ.) - 10 | 0,59 | 0,94 |

შენიშვნა: ფრჩხილებში პირველი ციფრი აღნიშნავს მასპინძლის შედეგს, მეორე - სტუმრისას.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ფეხბურთის მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარეს ილია მჭედლიშვილს დის გარდაცვალების გამო.**

# ჩემპიონთა ლიგა | მეორე ეტაპი მეორე ტური

## A ჯგუფი

**შტურმი (ავსტრია) — მანჩესტერი (ინგლისი) 0-2**
0-1 სქოულზი (17), 0-2 გიგზი (89).
**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ვალენსია (ესპანეთი) 0-0**
უეფას კომისარი — დავით პეტრიაშვილი (საქართველო)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| **ვალენსია** | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| **პანათინაიკოსი** | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| **შტურმი** | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

*დარჩენილი მატჩები*
14.02.2001. შტურმი — პანათინაიკოსი, ვალენსია — მანჩესტერი.
20.02.2001. პანათინაიკოსი — შტურმი, მანჩესტერი — ვალენსია.
07.03.2001. შტურმი — ვალენსია, პანათინაიკოსი — მანჩესტერი
13.03.2001. ვალენსია — პანათინაიკოსი, მანჩესტერი — შტურმი.

## B ჯგუფი

**დეპორტივო (ესპანეთი) — მილანი (იტალია) 0-1**
ჰელვეგი (45).
**გალათასარაი (თურქეთი) — პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) 1-0**
დავალა უმითი (51, პენ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| **გალათასარაი** | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| **დეპორტივო** | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| **პსჟ** | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

*დარჩენილი მატჩები*
14.02.2001. გალათასარაი — დეპორტივო, მილანი — პსჟ.
20.02.2001. დეპორტივო — გალათასარაი, პსჟ — მილანი.
07.03.2001. გალათასარაი — მილანი, დეპორტივო — პსჟ
13.03.2001. მილანი — დეპორტივო, პსჟ — გალათასარაი.

## C ჯგუფი

**ლიონი (საფრანგეთი) — სპარტაკი (მოსკოვი) 3-0**
მარლე (2), ანდერსონი (31,41).
**არსენალი (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია) 2-2**
1-0 ანრი (3), 2-0 კანუ (55), 2-1 ტარნატი (56), 2-2 შოლი (66).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბაიერნი** | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| **ლიონი** | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| **სპარტაკი** | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| **არსენალი** | 2 | 0 | 1 | 1 | 3-6 | 1 |

*დარჩენილი მატჩები:*
13.02.2001. ლიონი — არსენალი, ბაიერნი — სპარტაკი
21.02.2001. არსენალი — ლიონი, სპარტაკი — ბაიერნი
06.03.2001. ლიონი — ბაიერნი, არსენალი — სპარტაკი
14.03, 2001. ბაიერნი — არსენალი, სპარტაკი — ლიონი

## D ჯგუფი

**ლაციო (იტალია) — ლიდსი (ინგლისი) 0-1**
სმიტი (80).
**რეალი (ესპანეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) 4-1**
1-0 მორიენტესი (12), 2-0 ფიგუ (23, პენ.), 3-0 ელგერა (44), 4-0 რობერტო კარლოსი (73), 4-1 სტოიკა (89).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| **ლიდსი** | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| **ანდერლეხტი** | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| **ლაციო** | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

*დარჩენილი მატჩები*
13.02. 2001. რეალი — ლაციო, ლიდსი — ანდერლეხტი
21.02.2001. ლაციო — რეალი, ანდერლეხტი — ლიდსი.
06.03. 2001. რეალი — ლიდსი, ლაციო — ანდერლეხტი.
14.03. 2001. ლიდსი — ლაციო, ანდერლეხტი — რეალი.

## ფერნანდესმა სასწაული ვერ მოახდინა

მაშ ასე, ოთხი დღის წინათ დანიშნულმა ფრანგული „პარი სენ-ჟერმენის“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა სასწაული ვერ მოახდინა და პარიზელებმა მორიგი მარცხი განიცადეს, თურქული კლუბის უპირატესობა მთელი მატჩის მანძილზე ეჭვს არ იწვევდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მასპინძლები პირველ ტაიმში. ანგარიშის გახსნის მშვენიერი შესაძლებლობა უკვე მე-13 წუთზე ვერ გამოიყენა ბრაზილიელმა ჟარდელმა, რომელმაც კარიდან ხუთი მეტრის მანძილიდან უზუსტოდ დაარტყა. პსჟ-ს მცველები ძლივს უმკლავდებოდნენ თურქ ფორვარდებს.

მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა მაინც მიაღწიეს საწადელს, „გალათასარაის“ ყველაზე აქტიურმა თავდამსხმელმა ჟარდელმა პენალტი დაიმსახურა, იგი პარიზელთა მეკარემ მოცელა. 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა უმიტმა გოლად გარდასახა.

## ეს უშიშარი აზიატი

ამ სეზონში „დეპორტივო“ იყო ის ერთადერთი გუნდი, რომელსაც აქამდე მარცხი არ განუცდია და აი, ტრადიცია დაირღვა — ესპანელებმა საშინაო მატჩი წააგეს, ნუგეშად კი ის გარემოება დარჩენიათ, რომ მისი მეტოქე ევროპული ფეხბურთის გრანდი „მილანი“ იყო.

შეხვედრა მეტოქეებმა ძალიან ფრთხილად დაიწყს. ესპანელების ექსცენტრიულ მაყურებელს ეს არ მოეწონა, ვიღაცამ გრძელი ჯოხიც კი ისროლა მინდორზე. იგი სტუმართა გუნდის მეკარეს — აბიატის თავში მოხვდა. მატჩი, ცხადია, რამდენიმე ხნით შეწყდა — მეკარე მაშინღა მოვიდა გონს, წყალი რომ შეასხეს (უეფა, ალბათ, ამ ინციდენტს მკაცრ შეფასებას მისცემს). ბევრ მეკარეს ასეთი შემთხვევა ნერვებს მოუშლიდა, მაგრამ აბიატი, პირიქით, ისე სამაგალითოდ გაირჯა, როგორც არასდროს. აბიატის ალმაფრენა მის თანაგუნდელებსაც გადაედოთ. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე „მილანმა“ კუთხური დაიმსახურა. ჩამოწოდებული ბურთი ესპანელმა მცველებმა პირდაპირ ხელვეგისკენ მოიგერიეს. მისი ყუმბარისებური დარტმა უნაკლო გამოდგა.

მეორე ტაიმში ესპანელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ „მილანის“ მცველები და, პირველ რიგში, მეკარე, უნაკლოდ მოქმედებდნენ. მეტიც, შევჩენკოს ანგარიშის გაზრდა შეეძლო, მაგრამ მეკარეს მცველები წამოეხმარნენ.

# ასრულებული ოცნება

ავთანდილ შალამბერიძის სპორტული კარიერა ყოველთვის იმერული ცისარტყელით იყო განათებული. ხონში გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა თუ იგი უმაღლესი კლასის ფეხბურთელად ვერ აქცია, ქართულ ფეხბურთს მაინც არ ჩამოაშორა — მსაჯთა გვარდიას ერთ-ერთი კვალიფიციური სპეციალისტი ჰყავს და, საბედნიეროდ, ისიც ყოველდღიურად თავდაუზოგავად ემსახურება საყვარელ საქმეს.

**ავთანდილ შალამბერიძე დაიბადა 1957 წლის 24 მარტს, ხონის რაიონის სოფელ კუხში. უმაღლესი განათლებითაა — დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.**

### საფეხბურთო კარიერა

— ფეხბურთის სწავლა 1970 წელს დავიწყე ხონის სპორტულ სკოლაში. საფეხბურთო ანბანს ედუარდ კაკაურიძე გვასწავლიდა. 1972 წელს თამაში დავიწყე ხონის „ცისარტყელაში“ (შემდგომში „იმერეთი“) საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში. 1974 წელს გადავედით პირველ ჯგუფში, გადათამაშებაში მოვუგეთ თერჯოლის გუნდს. ეს მატჩი გორში გაიმართა მთავარი მსაჯი კი ჩინებული სპეციალისტი გიორგი ბაქანიძე გახლდათ. შემდგომში რამდენიმე მატჩი ვითამაშე სამტრედიის „ლოკომოტივში“. 1981 წლიდან ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის კაპიტანი ვიყავი ექვსი წლის მანძილზე. სამწუხაროდ, უფრო მაღალ დონეზე ფეხბურთი ვეღარ ვითამაშე. ოჯახური პირობების გამო ქუთაისი ვერ დავტოვე, თუმცა, „ავაზას“ საფეხბურთო სკოლაში გამომიძახეს. მუშაობა დავიწყე საავტომობილო ქარხანაში სხვადასხვა თანამდებობაზე.

● ***მსაჯობა რამ გადაგაწყვეტინათ?***

— ფეხბურთი ძალიან მიყვარდა და სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ გვარიანად გამიჭირდა. დიდხანს ვფიქრობდი რა გზას ვწეოდი. გარკვეული დროის მერე მსაჯობა გადავწყვიტე. მისაბაძი პიროვნებებიც ბევრნი იყვნენ — ბაქანიძე, ყრუაშვილი, მილჩენკო და სხვები. ერთი ოცნებაც მქონდა — „დინამოს“ სტადიონის მწვანე საფარზე გამოვსულიყავი. თუ ეს ფეხბურთელობისას ვერ შევძელი, იქნებ მსაჯობით მაინც მოვახერხო? მსაჯობაზე ოცნება მართლაც ავისრულე.

მოსამზადებელი კურსები ქუთაისში საკავშირო კატეგორიის არბიტრის ზურაბ თოდაძის ხელმძღვანელობით გავიარე. ჩემი, როგორც მსაჯის ჩამოყალიბებაში, დიდი როლი შეასრულეს მიხეილ ლოსაბერიძემ, ამირან აფრიდონიძემ და გრიგოლ მიქაუტაძემ (მის ბრიგადაში ბევრი მატჩი ვიმსაჯე და პირადი მაგალითით, ცოდნის გაზიარებით, რჩევებით ბევრი რამ ვისწავლე).

### პირველი ნაბიჯები...

— დასაწყისში ქუთაისში სხვადასხვა რანგის მატჩებს ვმსაჯობდი ბავშვებში და მოზრდილებში, დღეში 4-5 მატჩის გაძლოლა მიწევდა. შემამჩნიეს და მეც სტიმული მომეცა უფრო მაღალ დონეზე მემსაჯა.

### პირველი მატჩი

— 1993 წელს სრულიად შემთხვევით ხონში შევცვალე მთავარი მსაჯი — ხონის „იმერეთი“ ოზურგეთის „მერცხალს“ ხვდებოდა. მატჩის კომისარი ახლა სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის წევრი რეზო ჩილაჩავა იყო. რაც შეეხება უმაღლეს ჯგუფს, „შევარდენის“ სტადიონზე „მორკინალი“ — „დილას“ მატჩი ვიმსაჯე, ინსპექტორმა — უშანგი ფურცელაძემ 8,5 ბალი დამიწერა. მთლიანობაში 60-ზე მეტ მატჩს მოვემსახურე უმაღლეს ლიგაში.

● ***60 მატჩი ცოტა როდია. ბევრი გასახსენებელიც გექნებათ, ალბათ?***

— თბილისის „დინამო“ ბათუმელ თანაკლუბელებს ღებულობდა. მნიშვნელოვანი მატჩი იყო და მთელმა ბრიგადამ ხელმძღვანელობის მადლობა დავიმსახურეთ კარგი მსაჯობისთვის. ეს შარშან იყო, ოცნება ავისრულე, ეროვნული სტადიონის მინდორზე ვიმსაჯე, მთავარ არბიტრი ვიყავი.



ფეხბურთელობისას ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. 1976 წელს ხონში ამხანაგური მატჩი ვეთამაშეთ თბილისის „დინამოს“. გუნდს საკავშირო თასი ახალი აღებული ჰქონდა, იყვნენ ვეტერანი ფეხბურთელებიც, შეხვედრას საზეიმო ელფერი დაჰკრავდა, ჩვენთვის კი უდიდესი პატივი იყო ქართული ფეხბურთის ელიტასთან შერკინება.

● ***თქვენ მუსიკალური განათლება გაქვთ მიღებული, მაგრამ რატომღაც ხელოვნების ამ დარგს არ მისდევთ.***

— ესეც ფეხბურთთან არის დაკავშირებული და, მართალი გითხრათ, მწარე გასახსენებელია. მაშინ ხონში ვთამაშობდი. ერთ-ერთ რიგით ვარჯიშზე კარის ძელზე ბადის დამაგრებისას საქორწინო ბეჭედი კაუჭს წამოედო და თითი მომწყვიტა. ასე დასრულდა ჩემი მუსიკალური მოღვაწეობა. მუსიკალური შვიდწლედი მაქვს დამთავრებული ფორტეპიანოს განხრით.

● ***ჩვენს დღევანდელობას დავუბრუნდეთ.***

— მსაჯობის გარდა, საზოგადოებრივ საწყისებზე ვთანამშრომლობ სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში, ვარ საექსპერტო — საკვალიფიკაციო კომისიის წევრი.

● ***რატომ ტყდება ხშირად მსაჯებზე ჯოხი?***

— საქართველოს პირველობა 1972 წლიდან მახსოვს. ფეხბურთელობისას მეც მქონია შემთხვევები, როცა მსაჯით უკმაყოფილო ვყოფილვარ, მაგრამ ახლა, როცა თავად ვარ მსაჯი, გარკვეული ანალიზის გაკეთების საშუალება მაქვს. ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდს მოგება სურს. მაგრამ ეს მხოლოდ მსაჯების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. ყველაფერი ჩვენი ბრალი არ არის. ფეხბურთელი ცარიელ კარში გოლს რომ ვერ გაიტანს, მსაჯს არ უნდა დაბრალდეს. იდეალურები არც ჩვენ ვართ, შეცდომებიც მოგვდის, მაგრამ ხშირად კრიტიკა უსაფუძვლოა. საქართველოში მსაჯობის დონე საკმაოდ მაღალია და მსაჯების უმეტესობის კვალიფიკაცია უეჭველია. ის კი არა, იმის თქმაც შემიძლია, რომ მსაჯთა კორპუსის თითოეული წევრი ზოგიერთ გუნდზე უფრო მეტსაც ვარჯიშობს. ფეხბურთი ემოციური სპორტია და თუ გვინდა, რომ ეროვნული ჩემპიონატი ნორმალურად წარიმართოს, ნერვები უნდა მოთოკონ კლუბების პრეზიდენტებმაც, ფეხბურთელებმაც და მსაჯებმაც. ქიშპობით საქმე არ გაკეთდება.

● ***თუ გიფიქრიათ სამსაჯო კარიერის დასრულებაზე?***

— დიახ, მაგრამ, როცა დავწყნარდებოდი, უკვე მომავალ მატჩზე ვფიქრობდი. წესდებით ორი წელი კიდევ შემიძლია მსაჯობა. ფიზიკური და ნერვიული ძალა თუ შემრჩა, არბიტრობას თავს ჯერ არ დავანებებ.

● ***უცხოეთში თუ გიმსაჯიათ?***

— არა.

● ***საქართველოში და უცხოეთში საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?***

— ფეხბურთელობისას მცველი ვიყავი და მურთაზ ხურცილავას თამაში მომწონდა. თავდამსხმელებიდან, რა თქმა უნდა, მიხეილ მესხი. უცხოელებიდან პელეს ვერავის შევადარებ.

● ***თამაშს ვისთან ინატრებდით?***

— ძველი დრო რომ დაბრუნდებოდეს, თანაკლუბელებთან ავთანდილ ანდრიაძესთან და ავთანდილ ახვლედიანთან ერთად გავიდოდი მინდორზე.

● ***მსაჯობა სად გიადვილდებათ?***

— თბილისში. ყველაზე ობიექტური გულშემატკივრები დედაქალაქშია.

● ***მატჩისთვის როგორ ემზადებით?***

— უბრალოდ, მობილიზაციას ვუკეთებ საკუთარ თავს.

● ***მრავალრიცხოვანი სპორტული ოჯახი გყავთ. გაგვაცანით ისინი.***

— დიახ, მეუღლე ყოფილი ხელბურთელია. უფროსი ვაჟი კახა სტუდენტია. შუათანა, კობა თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიისა და 16-წლამდელთა ნაკრების წევრია. ტყუპი ქალიშვილები — თეონა და თამუნა ტანმოვარჯიშეები არიან.

● ***რას ისურვებდით?***

— არბიტრების მსაჯობის ნორმალურ პირობებს, მაშინ დავიდარაბაც ნაკლები იქნება. ცხადია, ქართული ფეხბურთის წინსვლას, გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების ობიექტურობას.

● ***წარმატებებს გისურვებთ.***

ესაუბრა
**მიხეილ საბახტარიშვილი**

*სურათზე: ავთანდილ შალამბერიძე მორიგი მატჩის წინ (მარცხნიდან მესამე)*
*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

# უეფას თასი — 1/16 ფინალი საპასუხო მატჩები

მიუნხენ-1860 (გერმანია) — ***პარმა (იტალია)*** 0-2 (2-2)
0-1 ამოროზო (74, პენ.), 0-2 სერჟიუ კონსეისაუ (86).
***შტუტგარტი (გერმანია)*** — ფეიენოორდი (ჰოლანდია) 2-1 (2-2)
1-0 მაისნერი (29), 1-1 პაუვე (71), 2-1 ბალაკოვი (90, პენ.).
***აეკი (საბერძნეთი)*** — ბაიერი (გერმანია) 2-0 (4-4)
ნავასი (16), ცარტასი (49.
***კაიზერსლაუტერნი (გერმანია)*** — რეინჯერსი (შოტლანდია) 3-0 (0-1)
კლოსი (7), ბუკი (64), ლოკვენცი (79).



***ბავშვთა ლიგის პირველი გათამაშების ჩემპიონი — თბილისის „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელთა გუნდი (მთავარი მწვრთნელი რევაზ გაგუა).***
*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

XX საუკუნის ვარსკვლავები

# ეს სკანდალური „ბინძურსიფათიანი“

**ომარ სივორი იმ ვარსკვლავებს მიეკუთვნება, რომელთაც ოსტატობის გარდა, თავი გაითქვეს სკანდალური ხასიათით. ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, ეს იტალიური წარმოშობის არგენტინელი ფეხბურთელი მიჩნეულია საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ.**


ომარ სივორი

### დოსიე

***დაიბადა*** — 1935 წლის 2 ოქტომბერს, ბუენოს-აირესში
***მოქალაქეობა*** — არგენტინა, იტალია
***ამპლუა*** — თავდამსხმელი
***1954-1957*** — რივერ პლეიტი (63 მატჩი, 29 გოლი)
***1957-1965*** — იუვენტუსი (217, 135)
***1965-1969*** — ნაპოლი (63, 12)
***1956-1957*** — არგენტინის ნაკრები (18,9)
***1961-1964*** — იტალიის ნაკრები (9, 8)
***1961 წლის*** „ოქროს ბურთის“ მფლობელი.

### ჩეზარინი რომ არა...

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, რამდენიმე წლით ადრე იტალიური წარმოშობის არგენტინელებს ადეოდატო სივორისა და კაროლა ტირაკიას შეეძინათ ვაჟი — ენრიკე ომარი, რომელიც ბავშვობიდანვე ალვირახსნილი ხასიათით გამოირჩეოდა: როცა მშობლიური ქალაქის გუნდის — „სან-ნიკოლასის“ ღირსებას იცავდა, თანაგუნდელებს აგინებდა, თუ ბურთის მიწოდებას დაუგვიანებდნენ. მეტოქეებს ხომ სულ „ეჭიჭყინებოდა“, ისევე, როგორც მსაჯებს. იერითაც ხომ სულ აჩაჩულ-დაჩაჩული დადიოდა, მისი მაისური ტრუსებში ჩატანებული იშვიათად უნახავთ და ამით სივორის გამორჩევა ყოველთვის ადვილი იყო სხვა ფეხბურთელებიდან.

სივორის ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა რენატო ჩეზარინიმ. ფეხბურთელი თავის მოგონებებში წერს: „სახელი მშობლებმა მომცეს, ხოლო პოპულარობა ჩეზარინიმ მომიტანა“. ადამიანი, რომელზეცაა ლაპარაკი, 30-იან წლებში თავად იყო „იუვენტუსის“ ცნობილი ფორვარდი. იგი არგენტინაში დაიბადა, მაგრამ ბავშვობაშივე გადაბარგდა იტალიაში. როცა მწვრთნელობას მიჰყო ხელი, მაშინ აღმოაჩინა სივორიც, როცა 1952-ში, 16 წლის ჭაბუკი „რივერ პლეიტში“ მიიყვანა.

ცხოვრებამ ისინი ორი ათეული წლით შეჰყარა ერთმანეთს. მოგვიანებით, 1957-ში სწორედ ჩეზარინიმ გაუწია რეკომენდაცია სივორის ჩაერიცხათ „იუვენტუსში“, სადაც მოგვიანებით, ორი წლის შემდეგ ისინი კვლავ შეერთდნენ, როგორც მოთამაშე და მწვრთნელი. სივორი, თავისი ტემპერამენტიანი ხასიათის გამო, ყველასთან კონფლიქტში გახლდათ, ერთადერთი, ვისთანაც მორიდებული იყო, ჩეზარინია.

მაშ ასე, 1952-ში ჭაბუკი „რივერ პლეიტში“ აღმოჩნდა. თავდაპირველად — მეოთხე გუნდში, სადაც 12 მატჩში 14-ჯერ აიღო მეტოქის კარი. ცხადია, იგი მალე დააწინაურეს (მესამე გუნდში — 19, 16, მეორეში — 21, 11).

როგორც იქნა, სივორის „რივერ პლეიტის“ ძირითად შემადგენლობაში დებიუტის დღეც დადგა — 1954 წლის 30 იანვარი. იუგოსლავიის „პარტიზანთან“ ამხანაგურ მატჩში მან სახელგანთქმული ანხელ ლაბრუნე შეცვალა. იმავე წლის 4 აპრილს სივორიმ არგენტინის I დივიზიონის ჩემპიონატის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა: „რივერ პლეიტმა“ „ლანუსი“ დაამარცხა — 5-2, ოთხი გოლი გაიტანა ურუგვაელმა ვარსკვლავმა ვალტერ გომესმა. მეხუთე დებიუტანტმა შეაგდო, რომელსაც იმთავითვე უწინასწარმეტყველეს დიდი მომავალი.

უნდა ითქვას, რომ ფიზიკური მონაცემებით ომარ სივორი მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა (სიმაღლე, 170 სმ, წონა — 70 კგ), სწრაფად დარბოდა, მშვენივრად „ხედავდა“ მინდორს, ძლიერად ურტყამდა ორივე ფეხით, ფლობდა დრიბლინგს, რომელსაც უფრო მარცხენა ფეხით ასრულებდა.

დაუვიწყარი რამ მოხდა 1954 წლის მეორე წრის ერთ-ერთ პრინციპულ მატჩში „ბოკა ხუნიორსის“ წინააღმდეგ — სივორიმ გულშემატკივარი ექსტაზში მოიყვანა, როცა თანმიმდევრობით მოატყუა მეტოქეთა ოთხი მცველი — კოლმანი, ედვარდსი, პეშე და მოურინიო და ულამაზესი გოლი გაიტანა. ფინალური სასტვენის შემდეგ ფანატებმა იგი ხელში აყვანილი გაიყვანეს სტადიონიდან.

სივორიმ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 1955 და 1956 წლებში და ახალგაზრდა ფორვარდი არგენტინის ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. დებიუტანტმა ამერიკის თასზე პირველივე მატჩში ისახელა თავი პერუელებთან. ერთი წლის შემდეგ კვლავ ამერიკის თასზე ასპარეზობისას არგენტინის ნაკრებში ფორვარდთა შესანიშნავი ტრიო გამოდიოდა: მასკიო — ანჯელილიო — სივორი. ფინალურ მატჩში ბრაზილიელების წინააღმდეგ სწორედ მათ ისახელეს თავი და 3-0 დაამარცხეს მრისხანე მეტოქე. არგენტინელებმა თავგამოჩენილ ფორვარდებს სიყვარულით შეარქვეს „Caras sucias“ „ბინძური სითაფები“ (მათ ისე ეწადათ დაემარცხებინათ ბრაზილიელები, სულ ტალახში იგორავეს).

თითოეული ეს „ბინძურსიფათიანი“ მომენტალურად გაიყიდა მდიდარ იტალიურ კლუბში. 1957 წლის 5 მაისს სივორიმ „რივერ პლეიტში“ გამოსათხოვარ მატჩში ითამაშა, ხოლო იმავე თვის 27-დან უკვე იტალიური „იუვენტუსის“ მოთამაშე გახდა.

### „ბებერი ქალბატონიდან“ იგი ერერამ გააგდო

იმ ხანობას, სივორი რომ „იუვენტუსში“ მოხვდა, სკანდალი მძვინვარებდა. კლუბის პრეზიდენტი უმბერტო ანიელი ფულის გაფლანგვაში ამხილეს. ცხადია, ასეთ ნერვიულ ვითარებაში ახალბედასთვის ძნელი იყო თავის გამოჩენა, მაგრამ ომარი თანდათან უმატებდა თამაშს, 1957/58 წლების სეზონში მის აქტივში 22 გოლი იყო, თანაც „იუვემ“ სკუდეტო მოიპოვა.

1960 წელს ტურინული გუნდი კვლავ იტალიის ჩემპიონია, ხოლო სივორი — სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი. გაზეთები განცვიფრებულები წერენ: მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელი ხშირად ეხვევა სხვადასხვა სკანდალურ ისტორიაში, დისკვალიფიკაციის გამო ბევრ მატჩსაც აცდენს, მას მაინც ანიჭებენ რჩეული მოთამაშის ტიტულს. აღსანიშნავია, რომ იმხანად „ბებერი ქალბატონის“ თავდასხმა — უელსელი ჯონ ჩარლზი ცენტრში, ფრთებზე ბონიპერტი და სივორი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

1961 წელს სივორის „ოქროს ბურთი“ ერგო. ცხადია, იტალიის მოქალაქეობა მიიღო, „სკუადრა აძურაშიც“ მიიწვიეს. პირველი გოლი ნაკრებში არგენტინის ნაკრებს გაუტანა, რითაც დასაბამი მისცა ყოფილი თანაგუნდელების განადგურებას — 4-1.

1961 წელს ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდა „იუვენტუსისა“ და „ინტერის“ მატჩში, როცა „ბებერმა ქალბატონმა“ მეტოქე 9-1 დაამარცხა, აქედან ექვსი (!) გოლი სივორის ანგარიშზეა. ამით სილვიო პიოლას რეკორდი გაიმეორა და მას შემდეგ იტალიაში ასეთ შედეგს ერთ მატჩში ვერავინ მიაღწია.

1962-ში სივორიმ მესამედ და უკანასკნელად მოიპოვა სკუდეტო. იმავე წელს ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში, ჩილეში. მან მონაწილეობა მიიღო გფრ-სა და შვეიცარიის ნაკრებებთან მატჩებში. რა იცოდა ფეხბურთელმა, რომ ამით მისი აღმასვლა დამთავრდა: სამშობლოში ჩასვლის შემდეგ შეიტყო, რომ „იუვენტუსში“ ახალი მწვრთნელი დაინიშნა — პარაგვაელი ერიბერტო ერერა.

მაინც რანი არიან ეს ერერები: ჯერ იყო და „ინტერში“ მომუშავე ელინიო ერერამ პირდაპირ „გაგუდა“ ფეხბურთელები — არავითარი იმპროვიზაცია, რასაც დაგავალებთ ზუსტად იმ სქემით ითამაშეთო. მერე ერიბერტომაც იგივე დაიწყო „იუვეში“. ეს ვერ აიტანა სივორიმ — ფეხბურთს გულით ვთამაშობ და არა სქემებითო. ცხადია, ამას კონფლიქტი მოჰყვა, რომელშიც გამარჯვებული მწვრთნელი გამოვიდა.

### ეს სკანდალისტი სივორი

1965-ში სივორი „ნაპოლიში“ გადავიდა. მას ძალიან გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ომართან ერთად ამ კლუბში მივიდა სერია A-ს სხვა ვარსკვლავიც — იტალო-ბრაზილიელი ჟოზე ალტაფინი. ორივეში 150 მილიონი არგენტინული პესო გადაიხადეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეაპოლამდე, იმხანად, ჯერ კიდევ არ იყო მისული ის ავადმყოფობა, რომელსაც „კატენაჩიო“ ერქვა და ამ გუნდში ჯერ კიდევ შეიძლებოდა „გულით თამაში“. „ნაპოლიში“ გატარებული ოთხი სეზონი სივორისათვის დამაკმაყოფილებელი გამოდგა — 1967/68 წლების სეზონში გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ ვარსკვლავი სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა მინდორზე — ტრავმებმა დატანჯეს, თანაც სივორი, როგორც მას სჩვეოდა, სისტემატურად ეჩხუბებოდა მწვრთნელ ბრუნო პეზაოლას, რომელიც შემდგომში „ფიორენტინაში“ გადავიდა და სკუდეტო მოიგო. ამით მან თავისი მაღალი კვალიფიკაცია დაამტკიცა.

*გაგრძელება იქნება*

**ჯემალ ჭიპაშვილი**


„ინტერი“ – „იუვენტუსი“. ომარ სივორი მეტოქეთა გარემოცვაში

### შეიძლება კანჩელსკისი გარიცხონ

**რუსეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ანდრეი კანჩელსკისი შეიძლება გარიცხონ „გლაზგო რეინჯერსიდან“, რადგან მან სათადარიგო შემადგენლობაში თამაშზე უარი განაცხადა.**

**როგორც მთავარმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა განაცხადა, კანჩელსკისი ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ეჩხუბა გუნდის ჰოლანდიელ მცველ ფერნანდო რიქსენს, მაგრამ ამისათვის იგი არ დაუსჯიათ, ინციდენტი ემოციურ აფეთქებას მიაწერეს და კანჩელსკისს სავარჯიშო მინდორი დაატოვებინეს.**

**რაც შეეხება სათადარიგო შემადგენლობაში თამაშზე უარის თქმას, ამის უფლება, დიკ ადვოკაატის აზრით, ფეხბურთელს, უბრალოდ, არა აქვს.**

### „როგორ შეიძლება ასეთი თანხის გადახდა“

მას შემდეგ, რაც მცველ რიო ფერდინანდში „ლიდს იუნაიტედმა“ ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ სარეკორდო თანხა 25,5 მილიონი დოლარი გადაუხადა, კლუბის მესვეურების ეს გადაწყვეტილება არ მოიწონა... „ლიდს იუნაიტედის“ მწვრთნელმა დევიდ ო,ლირიმ!

— მე აღტაცება არაერთგზის გამომითქვამს მისი თამაშით და ვფიქრობ, რომ რიო ფერდინანდი გამოჩენილი ფეხბურთელი გახდება. მიხარია, რომ იგი ჩემს კლუბში დიდხანს წარმატებით ითამაშებს. ამასთან, კვლავინდებურად ვფიქრობ, რომ ასეთ თანხად არც ერთი ფეხბურთელი არ ღირს. იმ 50 მილიონზე ხომ აღარაფერს ვამბობ, რომელიც „რეალმა“ ფიგუში გადაიხადა. როგორც ჩემი ცოლი ამბობს, „სისულელეა ასეთი თანხა გადაიხადო კაცში, რომელმაც სხვა არაფერი იცის, ბურთზე ფეხის დაკვრის გარდა“.

დიახ, ასეთი აზრიც არსებობს ფეხბურთელის ფასის შესახებ.

### გარდაიცვალა კრიჟევსკი

**75 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მცველი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, წარსულში მოსკოვის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ფეხბურთელი კონსტანტინ კრიჟევსკი.**

**მისი მონაწილეობით მოსკოვის „დინამო“ არაერთხელ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.**

# „იდეალური მსაჯობა არ არსებობს, მაგრამ...

**...მისკენ უნდა ვისწრაფოდეთ.“ ასე მთავრდება ეს საფეხბურთო რეფრენი, მაგრამ, როგორც ეტყობა, „სწრაფვა“ დიდხანს გაგრძელდება და დღეს ნებისმიერი ქვეყნის ჩემპიონატის მსაჯობა (თუ თვით მსაჯები) სრულყოფისაგან შორსაა. ამ ნაკლს, ცხადია, ვერც ახლახან დამთავრებული რუსეთის მე-9 ჩემპიონატი გადაურჩებოდა და მას მწვრთნელები „მსაჯების თავგასულობის“ სეზონს უწოდებენ. და საერთოდ, განვილილი ჩემპიონატი ისტორიაში ალბათ შევა როგორც ყველაზე სკანდალური. როგორც ითქვა, მსაჯობაში ყოველთვის იყო პრობლემები, მაგრამ ასეთი გასაქანი მას არ ჰქონია. თითებზეა ჩამოსათვლელი ტურები, რომლებიც გადაურჩა კლუბების დასაბუთებულ პრეტენზიებს არბიტრებისადმი. იყო შემთხვევები, როცა ერთ სათამაშო დღეს თან სდევდა სამი ოთხი კონფლიქტი და პროტესტების შეტანა, რომლებიც დაკმაყოფილდა. ამიტომაც, სულაც არ იყო გასაკვირი, რომ შუაგულ სეზონში რუსეთის მსაჯთა კოლეგია გვარიანად შეამცირეს. მაგრამ ამას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. მსაჯების შეცდომათა რიგი გრძელდებოდა. თურმე ამჯერად რეფერები მოკლებულნი იყვნენ წინასასეზონო მზადებას, ზოგი მათგანი კი არ შეესაბამებოდა აშკარად უმაღლესი დივიზიონის მოთხოვნებს.**

ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ შეხვედრებში, რომლებშიც წყდებოდა ოქროს, ასევე ბრინჯაოს მედლის ბედი, სცოდავდნენ მსაჯები. აშკარაა, რომ მდგომარეობა მსაჯთა კორპუსში არ შეიძლება კვლავ ამ დონეზე დარჩეს.. ოთურმის თამაში სტრუქტურის რეორგანიზაციაში უნდა შეწყდეს. რუსეთის ფეხბურთი ან უნდა გამოვიდეს მსაჯობის წნეხიდან, ან უფრო მძიმედ დააწვება იგი მას.

ჩვენში კარგად ცნობილი მოსკოველი მსაჯის ვალერი ბასკაკოვის კომენტარი: „ხშირად თავს ვუკრავთ ევროპულ ფეხბურთს და ვცდილობთ ავიდეთ საზღვარგარეთის დონემდე, მაგრამ იქაც ხომ ხშირად სცდებიან მსაჯები. რატომღაც მხოლოდ ჩვენშია ყველაფერი მუქ ფერებში წარმოდგენილი და აღვივებენ ვეებერთელა სკანდალებს, როცა ვიდეოჩანაწერებზე დაყრდნობით სპეციალურ კომიტეტს სადამსჯელო ვერდიქტები გამოაქვს. სინამდვილეში ნებისმიერ ევროპულ ჩემპიონატში ვიდეოჩანაწერის ანალიზით მსაჯებს დისკვალიფიკაციას არ აძლევენ. იქ ეს, უბრალოდ, აკრძალულია. მსაჯის მოქმედებას სპეციალური კომისია კი არა, მხოლოდ მატჩის ინსპექტორი აძლევს შეფასებას.

გარდა ამისა, ჩვენში შეუძლიათ მსაჯზე ზეგავლენა მოახდინონ სრულიად უცხო ადამიანებმა, რომელთაც მიესვლებათ სამსაჯო ოთახში თამაშის მსვლელობისას, — მწვრთნელებს, მეტოქე გუნდის წარმომადგენლებს, მილიციელებს, ოქმებსაც ჩვენთან მატჩის შემდეგ აწერენ ხელს, რაც ევროპაში არ ხდება. იქ თამაშამდე ეწერება ოქმს ხელი და არავინ წერს პროტესტსაც, იმიტომ, რომ რეგლამენტით ეს აკრძალულია. ჩვენთან ყოველ მწვრთნელს მატჩის შემდეგ შეუძლია მივიდეს მსაჯებთან და დაწეროს პროტესტი ყველაფერზე, რაც მის უკმაყოფილებას იწვევს, ამასთან, დაემუქროს კიდეც, რომ პასუხს აგებინებს არბიტრს. მსაჯები მთლად დარწმუნებულად არ გრძნობენ თავს, რითაც აიხსნება მათი შეცდომების უმრავლესობა. მსოფლიოს წამყვანი არბიტრები სეზონისწინა შეკრებაზე კი არა, ინდივიდუალურად ემზადებიან თამაშებისათვის, ამიტომაც ამ საკითხში ღირს, რომ ჩვენი არბიტრები დამოუკიდებლები იყვნენ.

**იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა**

# „რომა“ – სვლა ჩემპიონობისაკენ

იტალიის ჩემპიონატი ევროპის ქვეყნების პირველობებში ყველაზე უფრო „ინტერნაციონალურია“. ამასთან, თუ კლუბების სრულიად კონკრეტულ მოლაპარაკებებს გავითვალისწინებთ, უახლოეს ხანებში აქ საზღვარგარეთელი მოთამაშეების რიცხვი კიდევ უფრო მოიმატებს.

ყოველი ჩემპიონატის წინ ექსპერტები მთავარ ყურადღებას „დიდ შვიდეულს“ („იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“, „რომა“ „ლაციო“, „პარმა“, „ფიორენტინა“) აპყრობდნენ ხოლმე, რომლებიც ამა თუ იმ თანამიმდევრობით იკავებდნენ ხოლმე ადგილებს სატურნირო ცხრილის სათავეში. ახლა კი საქმე ისე წარიმართა, რომ ჩემპიონატის დაახლოებით მესამედი გავიდა და ისეთი გუნდები დაწინაურდნენ, რომლებიც ამ „უმაღლეს „კვალიფიკაციაში“ არ შედიოდნენ, და შეიძლება თვით „დიდი შვიდეულის“ ცნებაც საერთოდ გაუქმდეს. დიახ, ახლა წარმატებით თამაშობენ ბერგამოს „ატალანტა“, „უდინეზე“ და „ბოლონია“, რომელთა ამბიციურობას ბევრი არ მოელოდა.

დღეისათვის მტკიცედ ლიდერობს „რომა“. შარშანდელი სეზონი ფაბიო კაპელოს, როგორც ჩანს, გუნდთან შესაჩვევად და მის გარდასაქმნელად დასჭირდა, რომაელთა კლუბის მესვეურებმა კი მოთმინება გამოიჩინეს და სახელოვან მწვრთნელს კრიჭაში არ ჩაუდგნენ. რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ „რომაში“ „ფიორენტინიდან“ გადავიდა გაბრიელ ომარ ბატისტუტა. ბევრი მას მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელს კი უწოდებდა, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ „ფიორენტინაში“ ბევრს ვერაფერს მიაღწევდა (ამას თვითონ ბატისტუტაც აღიარებდა), ახლა კი „რომაში“ სათანადო მხარდაჭერა და სრული გასაქანი აქვს. ჯერ, რა თქმა უნდა, ძალიან ადრეა რაიმე კატეგორიული დასკვნების გამოსატანად, მაგრამ „რომა“ რომ ჩემპიონობის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი იქნება, ეს სავსებით ცხადია.

„რომას“ შემადგენლობა ახლა მართლაც მეტისმეტად ძლიერია. ეს კია, აქ იტალიელების აშკარა უმცირესობაა. დაცვაში სამ ბრაზილიელს – ვეტერან ალდაირს, ზაგისა და კაფუს დაემატა არგენტინელი სამუელი, ახლა ბატისტუტა, ახლა ასუნსაო, ახლა კანდელა, ახლა ძანეტი!.. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, „რომასთან“ თამაშის წინ მეტოქეებს სულაც არ სჭირდებათ კონცენტრაცია მაინცდამაინც ბატისტუტაზე, მის მხარდამხარ ხომ ტოტი და დელვეკიო ითამაშებენ, ამასთან, მეორე ტაიმში აუცილებლად შედის მინდორზე შედეგიანი თავდამსხმელი მონტელა. ისე კი, როცა ზოგ კლუბს „სერია A“-ში ერთი ძლიერი ფორვარდიც კი არა ჰყავს, ასეთი „რომაში“ ოთხია! X ტურში 10 დეკემბერს „რომას“ თითქოს არ მოელის დიდი საფრთხე, თუმცა საკმაოდ მომძლავრებულ „უდინეზეს“ მიიღებს, აი XI ტურში კი, 17 დეკემბერს იტალიის ჩემპიონ „ლაციოს“ ეთამაშება. დერბიც სწორედ ის იქნება!

ჯერჯერობით ადგილი შვიდეულში „სერია A“-ში დაბრუნებულმა „ატალანტამ“ და „უდინეზემ“ დაიკავეს. ეს გუნდები შემადგენლობის თვალსაზრისით არც ისე ძლიერები არიან, მაგრამ უდიდესი შეუპოვრობით თამაშობენ. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა „ბოლონიაში“, სადაც კარს იცავს გამოცდილი პალიუკა, თამაშს წარმართავს კაპიტანი სენიორი, ძლიერად თამაშობენ შედეგიანი ლოკატელი და ბრაზილიელი (ბელგიის მოქალაქე) ოლივეირა. დიდ უკმაყოფილებას იმსახურებს „იუვენტუსის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი, ერთის მხრივ, იმის გამო, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ სრული კრახი განიცადა ჩემპიონთა ლიგაში, ამას გარდა, არცთუ იტალიის ჩემპიონატში ბრწყინავს. ეს მაშინ, როცა „იუვეს“ ფაქტობრივად ორი ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. მწვრთნელი თავდასხმაში ფ. ინძაგისა და დელ პიეროს, ზოგჯერ ტრეზეგეს ათამაშებს, უფრო იშვიათად კოვაჩევიჩს, ფონსეკასა და ესნაიდერისათვის ხომ აღარ რჩება ადგილი... იმასაც წერენ, რომ მეკარე ვან დერ სარი და იგივე დელ პიერო თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით უარესად მოქმედებენ. ადრე დაცვაც შეცდომებს უშვებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგა მონტერო, საქმე თითქოს გამოსწორდა. „იუვენტუსის“ უახლოესი შეხვედრებიდან დიდ ინტერესს იწვევს 10 დეკემბრის საშინაო მატჩი „პარმასთან“, რომელმაც ამ დღეებში იტალიის თასზე უმძიმესი მარცხი აგემა (6-1) „ინტერს“. ისე კი „პარმა“ შემადგენლობის თვალსაზრისით ასევე ერთ-ერთი უძლიერესი კლუბია უმაღლეს ლიგაში. თვითონ განსაჯეთ: მეკარე ბუფონმა აღიდგინა მზადყოფნა, იგი ხომ დაშავებული იყო და ამის გამო გამოტოვა ევროპის ჩემპიონატი. ამ ჩემპიონატამდე ბუფონი იტალიის ნაკრების №1 გოლკიპერად ითვლებოდა, ახლა კი ტოლდოს გაუცვალა ადგილი. მწყობრში ჩადგა საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ბოგოსიანი, რომელმაც ტრავმის გამო მთელი წელი გააცდინა. „პარმა“ ადრეც განთქმული იყო დაცვით (ტიურამი, კანავარო), რაიმე პრობლემა არც შუა ხაზზე აქვს, წინ კი თანდათან თავისი სრული ძალა ამოროზომ უნდა უჩვენოს. ჯერჯერობით კი „პარმას“ მიღწევად ითვლება ჩემპიონ „ლაციოს“ დამარცხება – 2-0. ალბერტო მალესანი იმედებით არის გამსჭვალული.



იტალიელი მიმომხილველების აზრით, ყველაფერი რიგზე არ არის „მილანში“, რომელიც 1999 წელს ჩემპიონი იყო, 2000 წლის მესამე ადგილი კი ალბერტო ძაკერონის მარცხად ჩაუთვალეს. დიახ, კვლავინდებურად შედეგიანად თამაშობს შევჩენკო, მაგრამ დაცვა ბევრ გოლს უშვებს. მისი სისუსტე იგრძნობოდა ერთ-ერთ საპასუხისმგებლო მატჩში „პარმასთან“, როცა ძაკერონიმ სტუმრად გადაწყვიტა აქცენტი შეტევაზე აეღო და მინდორზე გამოიყვანა ერთბაშად სამი თავდამსხმელი: შევჩენკო, ბირჰოფი და ესპანელი ხოსე მარი. ვერც ერთმა ვერ მიაღწია რაიმეს, ამასობაში კამერუნელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პატრიკ მბომამ პირდაპირ თავცზარი დასცა „მილანის“ მცველებს და ორი გოლი გაიტანა. ზოგი კომენტატორის აზრით, ძაკერონის უკვე წყალი შეუდგა: 10 დეკემბერს „მილანი“ მიიღებს „ლეჩეს“, 17 დეკემბერს კი „ვერონას“ ესტუმრება.

ჯერჯერობით არაფრით გამოირჩევა ჩემპიონიც. იგი უკვე მეხამე ტურში სტუმრად დამარცხდა „ვერონასთან“ – 0-2, შემდეგ თითქოს რამდენადმე გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ VIII ტურში პარმაში წაგებამ – 0-2 კვლავ სატურნირო ცხრილის შუაგულში გადაისროლა. ექსპერტების აზრით, „ლაციოში“ თითქოს დაბრუნდა ის დრო, როცა მას ზდენეკ ზემანი ხელმძღვანელობდა. მაშინ იგი ყველას საშინელი ძალით უსწორდებოდა საკუთარ „სტადიო ოლიმპიკოზე“, მეტოქეთა მინდვრებზე კი უიმედოდ აგებდა. რა თქმა უნდა, გუნდზე ცუდად მოქმედებს ის ფაქტიც, რომ მას საკმაოდ მალე დატოვებს შვედი მწვრთნელი ერიქსონიც. ამას წინათ იუგოსლაველმა სტანკოვიჩმა უკვე აღიმაღლა ხმა სახელოვანი სპეციალისტის წინააღმდეგ და ბელგრადის გაზეთ „ვეჩერნე ნოვინისადმი“ მიცემულ ინტერვიუში ბრალი დასდო ლეგიონერების „ორ კატეგორიად“ დაყოფაში. სტანკოვიჩი თითქოს „მეორე კატეგორიას“ მიეკუთვნება და ამიტომაც, იშვიათად თამაშობს.

რა თქმა უნდა, ცალკე საუბრის თემაა მილანის „ინტერის“ უსახური თამაში. აქ ვერაფერი გამოასწორა მარჩელო ლიპის მარკო ტარდელით შეცვლამ. პირველი, რაც თვალში საცემია „ინტერის“ თამაშში, ეს არის სუსტი შუა ხაზი. ზეედორფი მეტად არასტაბილურად მოქმედებს, იგივე ითქმის ვამპეტაზე. სანეტი დაშავებულია, კოე, ფარანოსი და დი ბიაჯო არაფრით გამოირჩევიან.

სეზონის დასაწყისიდან პირველმა მარჩელო ლიპიმ („ინტერი) დაკარგა თანამდებობა, რომელსაც მიჰყვა ზდენეკ ზემანი („ნაპოლი“), იგი ემილიანო მონდონიკომ შეცვალა. ვინ იქნება შემდეგი „მსხვერპლი“?



## სკილაჩი: ფეხბურთი არ მომყირჭებია

სალვატორე „ტოტო“ სკილაჩის სახელი 1990 წელს მთელ ფეხბურთის სამყაროში გრგვინავდა. იმ წელს იგი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა. შემდეგ ცოტა ხნით „დაწყნარდა“, მაგრამ 1992 წელს ტურინის „იუვენტუსიდან“ მილანის „ინტერში“ რომ გადავიდა, ყველას გაახსენა თავი, როგორც გოლეადორმა. 1994 წელს სკილაჩიმ, რომელსაც კვლავინდებურად დიდი სახელი ჰქონდა, რატომღაც გადაწყვიტა გასცლოდა ევროპას და იაპონიაში გადაბარგდა. ეტყობა, ეს ფულისათვის არ გაუკეთებია, რომელიც ევროპაშიც არ აკლდა. „ტოტო“ იაპონურ „ჯიბულა ივეტაში“ ჩაირიცხა, 1995 წელს 24 გოლი გაიტანა და იაპონურ ჯგილიგის საუკეთესო სნაიპერი გახდა.

ახლა სალვატორე სკილაჩი 36 წლისაა. ამ დღეებში იტალიურ პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ იგი აპირებს დაუბრუნდეს ფეხბურთს, ამასთან, მწვრთნელად კი არა, არამედ მოთამაშის როლში. იგი „სერია C“-ს ცნობილ კლუბ „პალერმოში“ ითამაშებს, რომელიც ოდესღაც უმაღლეს ლიგაშიც გამოდიოდა. ახლა „პალერმოს“ არა ჰყავს ძლიერი თავდამსხმელი და, ამდენად, ძალიან უჭირს.

— 10 გოლზე მეტის გატანა რომ არ შემეძლოს, როდი მივიღებდი სიცილიური კლუბის წინადადებას. ჯერ სულაც არ მომყირჭებია ფეხბურთი.

„ტოტო“ უბრუნდება ფეხბურთს. დავთვალოთ მისი გოლები.

*სურათზე: 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. სალვატორე სკილაჩი (თაიგულით) საუკეთესო ბომბარდირია.*

# რობერტო ბაჯოს ძალიან ემტერებიან



რობერტო ბაჯო იტალიელ გულშემატკივრებში კვლავინდებურად პოპულარულია, მაგრამ არიან კლუბების ქომაგები, რომელთაც ძალიან შეეჯავრათ იგი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „ბრეშიაში“ გადავიდა. გასაგებია, ეს კლუბები იტალიური ფეხბურთის გრანდები კი არა, არამედ ისინი, რომლებმაც „სერია „A“-ში ადგილის შენარჩუნებისათვის უნდა იბრძოლონ, ვთქვათ, „ვიჩენცა“, „ვერონა“, „ბარი“, „ნაპოლი“... მათთვის ხომ ბაჯო უპირველესი მტერია, კაცი, რომელსაც „მათ ხარჯზე“ „ბრეშიას“ (ობიექტურად სუსტ გუნდს) შეუძლია უმაღლეს ლიგაში ადგილი დაუმკვიდროს, მეტზე კი ეს კლუბი არც ფიქრობს.

ის, რაც „რეჯინას“ გულშემატკივრებმა ჩაიდინეს, მაინც მეტისმეტი იყო. ტრიბუნები ძალიან ახლოს არის მინდორთან, ეს წმინდა საფეხბურთო ნაგებობა გახლდათ. და აი, ვაიქომაგებმა ათასი რამ დააყარეს „ბრეშიას“ ფეხბურთელებს, განსაკუთრებით კი, ცხადია, ბაჯოს ემტერებოდნენ. ერთი რაკეტა ჩეხ მეკარე პაველ სრნიჩეკს რომ მოხვდა, განთქმულმა მსაჯმა პიერ ლუიჯი კოლინამ 4 წუთით შეაჩერა თამაში. შემდეგ „ბრეშიამ“ სამი გოლი გაიტანა. ბაჯო ხან კუთხურს აწოდებდა, ხან ბურთი აუტიდან თამაშში შეჰქონდა. დიდი ვაჟკაცი კი ყოფილა, ათას რამეს ესროდნენ, ის კი იხტიბარს არ იტეხდა. კოლინამ ერთხელ კიდევ შეაჩერა თამაში, შემდეგ გააგრძელა და როცა ტიფოზები არ დაცხრნენ, 84-ე წუთზე მათ „შამათი გამოუცხადა“ და გუნდები მინდვრიდან გაიყვანა. 0-3 — ასე დასრულდა ეს თამაში. ახლა „რეჯინას“ საკუთარ მინდორზე ვიდა ათამაშებს...

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### მიიღებ, თუკი მოიგებ!

**ინგლისის „არსენალისა“ და შვეციის ნაკრების ნახევარმცველმა, 35 წლის ანდერს ლიმპარმა (რომელიც წარმომავლობით უნგრელია) საინტერესო ხელშეკრულება დადო შვედურ კლუბ „იურგორდენთან“.**

**ამ ხელშეკრულების თანახმად, ყოველ მატჩში, რომელსაც იურგორდენი“ მოიგებს, ლიმპარი სამი ათას დოლარს მიიღებს, თუ არა და, არაფერს! საინტერესოა, რომ ამ წინადადებით კლუბს სწორედ ვეტერანმა მიმართა.**

**დიახ, ეს ჩემი აზრი იყო. მე რომ ფულის იოლად შოვნა მდომებოდა, დავრჩებოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც „კოლორადო“ წელიწადში 450 ათას დოლარს მაძლევდა. ახლა კი, მოგებაში მიღებულ ბონუსების გარდა, მე არავითარი ხელფასი არ მექნება!**

### მწვრთნელები ტყაპა-ტყუპით „ცვივიან“

მსოფლიო ჩემპიონმა კლუბებს შორის წელს უკვე მესამედ შეცვალა მწვრთნელი. ამ დღეებში „დაეცა“ მწვრთნელი კანდინიოც. მისი ხელმძღვანელობით კლუბმა სულ ათი მატჩი ჩაატარა, აქედან წააგო 9 (!) და მხოლოდ ერთი დაამთავრა ფრედ. ამრიგად, სახელოვანი კლუბი ლიგაში, სადაც სულ 25 კლუბია, 24-ე ადგილამდე დაეცა. ადრე „კორინტიანსს“ გამოეთხოვა მწვრთნელი ოსვალდო დე ოლივეირა, კიდევ უფრო ადრე კი, ოსვალდო ალვარესი, რომლის ხელმძღვანელობითაც კლუბი ჯერ ბრაზილიაში უძლიერესი გახდა, შემდეგ კი მსოფლიო ჩემპიონი კლუბებს შორის.

ამ ბოლო ხანებში მარცხის გამო „სანტოსი“ დატოვა ცნობილმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ, რომელმაც სულ 28 დღეს იმუშავა, ხოლო „ბოტაფოგო“ — ანტონიო კლემენტემ.

### ქალაქი, რომელიც ცნობილია მხოლოდ... ფეხბურთით

**ჰალმსტადი შვეციის დიდ ქალაქებთან შედარებით რა სახსენებელია — მას სულ 84 ათასი მცხოვრები ჰყავს. რა ვუყოთ, რომ კარგი პლაჟი და გოლფის მოედანი აქვს და პოპ-ჯგუფ „როკსეტსაც“ არა უშავს.**

**უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მისი კლუბი „ჰალმსტადი“ ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე უკვე მეორედ გახდა შვეციის ჩემპიონი. ამ მიღწევას, რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად, ნიჭიერ მწვრთნელ ტომ პრალს მიაწერენ. საინეტერსოა, რომ ადრე პრალი ნაკლებად ცნობილ „ტრელებერგში“ მუშაობდა, უეფას თასზე „ბლეკბერნს“ სძლია და თანაბრად ითამაშა თვით „ლაციოსთანაც“ კი. საინეტერსოა, რომ ამ 4 მატჩში კლუბმა სულ სამი გოლი გაუშვა!**

**1996 წელს პრალი „ჰალმსტადში“ გადავიდა და უკვე აღნიშნულ სპორტულ წარმატებასთან ერთად მისი კლუბი შვეციაში ყველაზე უფრო სანახაობით ფეხბურთს თამაშობს.**

# სპორტული პლანეტა

## ფეხბურთი

### წლის რჩეული გუნდი ჰოლანდიაა

გუშინ საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის შესახებ, რომ ფიფას ვერსიით წლის რჩეულ გუნდად ჰოლანდია დასახელდა. ფიფას ასეთმა გადაწყვეტილებამ ბევრში გაკვირვება გამოიწვია – ელოდნენ, რომ ეს საპატიო ტიტული საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს შეხვდებოდა, ამ გუნდმა ხომ ევრო-2000 მოიგო, მაგრამ ფიფას ჩინოვნიკებმა სხვაგვარად განსაჯეს.

შეგახსენებთ, რომ 1994-დან 1999 წლის ჩათვლით უცვლელად საუკეთესო გუნდად დასახელებული იყო ბრაზილია.

გუშინვე გამოცხადდნენ კონტინენტების რჩეული გუნდები. აზიაში ეს პრიზი ერგო იაპონიას, სამხრეთ ამერიკაში – კოლუმბიას, აფრიკაში – ნიგერიას, ოკეანიაში – ავსტრალიელები და, ბოლოს, კონკაკაფის რეგიონში პრიზი გონდურასს ხვდა.

**გაზეთის დაბეჭდვის წინ:**

- *ინგლისურ ჟურნალ „უორლდ სოკერის“ გამოკითხვით, პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ დასახელებულია წლის საუკეთესო ფეხბურთელად.*
- *გუშინ, ბარსელონასთან ახლოს, ავტოკატასტროფაში დაიღუპა ანდორის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანსისკ ვილია.*
- *მოსკოვის „სპარტაკის“ მწვრთნელად დაინიშნა გენადი ლოგოფეტი.*

## უეფას თასი

### 1/16 ფინალი საპასუხო მატჩები

ვერდერი (გერმანია) — ბორდო (საფრანგეთი) 0-0 (1-4).

რუსენბორგი (ნორვეგია) — ალავესი (ესპანეთი) 1-3 (0-2) პირველი მატჩი 1-1. 0-1, იონსენი (19, ავტოგოლი), 0-2 ვუჩკო (16), 0-3 ხავი მორენო (61), 1-3 სკამელსრუდ (89, პენ.)

სლავია (ჩეხეთი) — ოსიეკი (ხორვატია) 5-1 (2-1). პირველი მატჩი 0-2 1-0 დოსეკი (14), 2-0 ზელენკა (28). 3-0 ტურკოვიჩი (43), 3-1 დოსეკი (53), 4-1 ზელენკა (88), 5-1 კუჩარი (90).

იხ. მე-4 გვ.

## ბიატლონი



გუშინ, იტალიის ანტოლეც-ანტერსელვაში სტარტი აიღო ბიატლონში მსოფლიო თასის გათამაშების მეორე ეტაპმა. ეს შეჯიბრებაც სლოვენიიდან გადმოიტანეს იტალიაში უამინდობის გამო. ეტაპი მოიგო ფრანგმა რაფაელ პუარემ. მეორე იყო რუსი პაველ როსტოვცევი, მესამე – ნორვეგიელი ოლე-ენარ ბორნდალენი, მეოთხე – გერმანელი კარსტენ ხეიმანი, მეხუთე – ნორვეგიელი ფროდე ანდერსენი, მეექვსე – რუსი სერგეი როჟკოვი, მეშვიდე – რიკო გროსი, მერვე – სვენ ფიშერი (ორივე – გერმანია).

## სამთომეთხილამურეობა

### ამინდმა მსოფლიო თასის კიდევ ერთი ეტაპი ჩაშალა

ვერა და ვერ დადგა სამთოთხილამურებისთვის სასურველი ამინდი. არ მოვიდა ეს თოვლი და რას იზამ? ამის გამო, გუშინწინ, გადაიდო სათხილამურო რბოლაში მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი, გუშინ კი გადავადების გადაწყვეტილება მიიღეს სამთომეთხილამურეთათვის.

## ჩოგბურთი

### კორეტხა ავსტრალიას ვერ შეეჭიდება



კაცია და გუნება. თავკაცი იმიტომაა თავკაცი, რომ საბოლოო გადაწყვეტილებები თავად მიიღოს და მერე პასუხიც პირადად აგოს. ესპანეთის საჩოგბურთო ნაკრების კაპიტანმა ხავიერ დუარტემ თავისი გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა: ხუან-კარლოს ფერერო (მე-12 მსოფლიო კლასიფიკაციაში) და ალბერტ კოსტა (26). მაშასადამე კაპიტანმა ფერერო ამჯობინა ალექს კორეტხას, ვინაც ამას წინათ ლისაბონში „ქფთეუკ სგზ“-ის ტურნირზე იასპარეზა და მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-8 ადგილი უკავია. ამრიგად, დევისის თასის ფინალურ მატჩში ესპანეთისა და ავსტრალიის გუნდებს შორის ერთეულთა ორთაბრძოლებში მაყურებელი მოკლებული იქნება კორეტხას თამაშის ხილვის სიამოვნებას.

რაც შეეხება ავსტრალიელებს, ერთეულთა თანრიგში იასპარეზებენ ლეიტონ ჰიუიტი (7) და პატრიკ რაფტერი (15).

## ველორბოლა

### „სპორტული“ გაყრა მოდაში შემოვიდა

გერმანიაში კიდევ ერთი „სპორტული“ გაყრის შესახებ გამოცხადდა. ჩოგბურთელ ბორის ბეკერისა არ იყოს, მეუღლეს გაშორდა უძლიერესი გერმანელი ველმრბოლი ქალი ხანკა კუპფერნაგელი.



აღსანიშნავია, რომ 26 წლის ხანკას ქმარი — ტორსტენ ვიტიგ-კუპფერნაგელი იყო სპორტსმენის მწვრთნელიც, მენეჯერიც. ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებით აღელვებდა ხანკას, რომელსაც დამდეგი სეზონისთვის არ გააჩნია კონტრაქტი. უნდა ითქვას, რომ ოლიმპიადა-2000-ის ვერცხლის მედალოსანს მხარში ამოუდგნენ: მისი მეურვეობა ითავა ქვეყნის საუკეთესო მენეჯერმა ვოლფგანგ შტრობანდმა, რომელიც მრავალი წელია თანამშრომლობს რჩეულ გერმანელ ველმრობელებთან — იან ულრიხსა და ანდრეას კლოდენთან. შტრობანდის თქმით — „ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება მსოფლიოს უძლიერეს კლუბებთან — ამერიკულ „სატურნთან“ და ჰოლანდიურ „ფარ ფრიტესთან“. იტყობინებიან, ამ დღეებში საუკეთესო ვარიანტს შეარჩევენ და კონტრაქტიც გაფორმდება.

## ცურვა

### ავსტრალიელების უპირატესობით



მელბურნში მოცურავეთა მსოფლიო თასის მეხუთე ეტაპი, როგორც მოსალოდნელი იყო, მიმდინარეობს მწვანე კონტინენტის სპორტსმენების დიდი უპირატესობით. გუშინ მათ 11 გაცურვიდან 7-ში იმარჯვეს.

*სურათზე: ავსტრალიელი მეტ უოლში პირველი იყო 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში.*

## ფიგურული ციგურაობა



### მსოფლიო ჩემპიონატი ლიპინსკის გარეშე

ამერიკელმა ფიგურისტმა ქალმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტარა ლიპინსკიმ, განაცხადა, რომ არ გამოვა პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატზე, ვინაიდან რთული ილეთების შესრულებაში ხელს შეუშლის ჯერი კიდევ ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმა. რაღა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატს ბევრი დააკლდება ყინულის ამ შესანიშნავი ჯადოქრის მონაწილეობის გარეშე.

## მძლეოსნობა



პერეკი

### პერეკი მომავალზე ფიქრობს

32 წლის ფრანგი მორბენალი ქალი მარი-ჟოზე პერეკი იანვარში გამოაცხადებს თავისი მომავალი გეგმების შესახებ. ბარსელონისა და ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი, მას შემდეგ დუმდა, რაც სიდნეი დატოვა სასტუმროში მიღებული ანონიმური მუქარის წერილის გამო. სპორტსმენის პრეს-მდივანი იუწყება, რომ მხოლოდ ახალი წლიდან გახდება ცნობილი, პერეკი გააგრძელებს თუ არა სპორტულ კარიერას.

# თუ ოცნებაა, ოცნება იყოს!

*მე-3 გვერდიდან*

ლსაჩინოესი მაგალითია. ამიტომაც, უეფა იღებს ვალდებულებას ფეხბურთზე მწერალ ჟურნალისტებს მაქსიმალური კომფორტი მიეცეთ და ფეხბურთის პოპულარიზაციისათვის მათთვის ყველა კარი გახსნილად გამოგვიცხადეს.

მართალიცაა, საიდან იღებენ დღეს ეროვნული ფედერაციები თუ ბობოლა კლუბები ძირითად შემოსავალს? – რაღა თქმა უნდა, ტელეტრანსლირების უფლებების გაყიდვიდან და სარეკლამო კომპანიებიდან. მიუხედავად ამისა, დსთ-ს ქვეყნებში და ბალტიისპირეთში, სადაც ჯერ კიდევ ცოცხლობს კომუნიზმისდროინდელი მიმართებები პრესასთან ურთიერთობებში, მეტად აქტუალურია მედიისა და ფეხბურთელთა, მწვრთნელთა, მსაჯთა, სპეციალისტთა, გულშემატკივართა და საფეხბურთო ჩინოვნიკთა ურთიერთობა.

სწორედ ამ მიმართებით სფფ-მ გადაწყვიტა მე-12 ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩების შემდეგ, სავალდებულო პრესკონფერენციების გამართვა კლუბების მთავარ მწვრთნელებთან. საგანგებოდ ამისათვის ჩემპიონატის რეგლამენტში, პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში, შეტანილია ახალი პუნქტი (№ 10), რომლის მიხედვითაც, მატჩისშემდგომი პრესკონფერენციები საფეხბურთო მატჩის უცილობელ ატრიბუტად გამოცხადდა და ამ პუნქტის დამრღვევი მწვრთნელი თუ კლუბი საკმაოდ სოლიდურად ისჯება. სამწუხაროდ, ამგვარი რამ რამდენჯერმე მოხდა და ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებამაც არ დაახანა – კლუბებს სოლიდური ჯარიმები დაეკისრათ. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ მათი უდისციპლინობა თანხობრივად გეომეტრიული პროგრესიით იმატებს. წინა კონფერენციაზე, რომელიც უეფას მედია დირექტორის ფრიც ალსტრიომის პირად ინიციატივით, ხელშეწყობითა და ავტორიტეტით მოეწყო, ხაზი გაესვა უეფას „ახალშეძენილი“ ქვეყნების (ყოფილი სსრკ და იუგოსლავია) მასმედიის განვითარებას. მაშინ მე ნათლად დავინახე, თუ რა უფსკრულია „ჩვენებურ“ და „იმათ“ საფეხბურთო მეურნეობასა და შესაბამისად მასმედიის როლს შორის. კონფერენციაზე ყველაზე მეტად მე და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშემ სურენ ბალდასარიანმა ვიაქტიურეთ. ადრეც ვთქვი, „ნორმალური“ ქვეყნების ფედერაციების პრესატაშეების და ჩვენს კითხვებს შორის ცა და დედამიწა იყო. ევროპელთა კითხვები უფრო „დედიკოს ბიჭების“ კაპრიზებს ჰგავდა. საუბარი იყო თვრამეტი კამერით გადაელოთ მატჩები თუ ოცდაოთხით, გაემართლებინათ თუ არა საფეხბურთო ვარსკვლავებთან ინტერვიუს აღება თანხის გადახდის შემდეგ. „საფეხბურთო ჰოლივუდად“ წოდებული მიუნხენის „ბაიერნის“ კლუბის პრეს-ატაშეს მარკუს ჰორვიკის განცხადება იმის შესახებ, რომ პრესკონფერენციაზე არგამოცხადებისთვის თვით ლოთარ მათეუსი დაჯარიმდა, არც მეტი, არც ნაკლები, ათი ათასი გერმანული მარკით, მართლაც მეხის გავარდნას ჰგავდა დსთ-ს ქვეყნების ფედერაციების პრეს-ატაშეთათვის: მართლაც, ძნელი გასაგებია, როდესაც ჩვენში ოც წელს მოღვაწე, ახალგამოჩიტული „ვარსკვლავი“, ანდაც მწვრთნელი, პრესას ცხვირს უბზუებს. ამ დროს კი გერმანული და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ლამისაა ერთკვირიანი ხელფასით დასაჯონ პრესის უპატივცემულობისთვის, მაგრამ ეს ფაქტია და ალბათ, ადრე თუ გვიან, ჩვენც აქამდე მივალთ.

**მამუკა კვარაცხელია**
**სფფ-ს პრეს-ატაშე**

*(გაგრძელება იქნება)*

*სურათზე: მარცხნივ – მამუკა კვარაცხელია და სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ატაშე სურენ ბალდასარიანი.*



# ნიუ-დელიში ბრძოლა ცხარდება

მსოფლიო პირველობები ვაჟთა და ქალთა შორის

მოგვყავს მესამე წრის ყველა შედეგი.

***ვაჟები:*** ანანდმა (ინდოეთი) მოუგო სმბატ ლპუტიანს (სომხეთი) ანგარიშით 1,5:0,5, ბელიავსკისა (სლოვენია) და ბარტოლომეი მაჩეიას (პოლონეთი) ორივე ძირითადი პარტია ყაიმით დასრულდა, მაგრამ შემდეგ ბელიავსკიმ მოიგო ორივე დამატებითი სწრაფი პარტია. მეტისმეტად მძაფრი გამოდგა მსოფლიო ჩემპიონ ხალიფმანისა (რუსეთი) და ლეკოს (უნგრეთი) შეხვედრა. ორი ძირითადი პარტია ყაიმით დასრულდა. ასეთივე შედეგი მოიტანა ხუთმა (!) მომდევნო პარტიამაც. მხოლოდ მერვე, ელვისებურ შეხვედრაში გაიმარჯვა ხალიფმანმა და ლეკო გათამაშებას გამოეთიშა. ლეიტაომ (ბრაზილია) ანგარიშით 1,5:0,5 მოუგო ნატაფს (საფრანგეთი). ადამსმა (ინგლისი) ორი ყაიმის შემდეგ ორი დამატებითი პარტია მოუგო ერმოლინსკის (აშშ), სვიდლერმა (რუსეთი) პირველი შეხვედრა წააგო პენგთან (ჩინეთი), მეორეში რევანში აიღო, დამატებით პარტიებში კი 1,5 ქულა მოაგროვა და გააგრძელა ბრძოლა . დრეევმა (რუსეთი) დაამარცხა ვან ველი (ჰოლანდია) — 1,5:0,5 ასეთივე ანგარიშით მოროზევიჩმა (რუსეთი) მოუგო ვლადიმიროვს (ყაზახსტანი). ტკაჩევმა (საფრანგეთი) სამი ყაიმის შემდეგ მეოთხე პარტია მოუგო კაზიმჯანოვს (უზბეკეთი), გრიშჩუკმა (რუსეთი) დაამარცხა სერპერი (აშშ) — 1,5:0,5. დიდი ბრძოლა გაიმართა ელვესტსა (ესტონეთი) და მოვსესიანს (ჩეხეთი) შორის. სამი ყაიმის შემდეგ მეოთხე მოიგო ესტონელმა. შიროვ (ესპანეთი) — გურევიჩის (ბელგია) შეხვედრაში ჯერ ორი შეხვედრა ყაიმით დასრულდა. შემდეგ მეტოქეებმა თითო გამარჯვება მოიპოვეს და მხოლოდ მეხუთე პარტიაში მოიპოვა უპირატესობა შიროვმა, გელფანდმა (ისრაელი) დაამარცხა პიკეტი (ჰოლანდია) — 1,5:0,5 ბარეევმა (რუსეთი) ორივე პარტია მოუგო ალექსანდროვს (ბელორუსია), ხოლო აზმაიფარაშვილმა, როგორც უკვე ვიუწყებოდით, წააგო გულკოსთან — 0,5:1,5.

***ქალთა*** მესამე წრეში მსოფლიო ჩემპიონმა სიუ ჟუნმა (ჩინეთი) დაამარცხა ზაიაცი (რუსეთი) — 1,5:0,5, ევროპის ჩემპიონმა ჟუკოვამ ჰუ იუჰუა (ჩინეთი) — სამი ყაიმის შემდეგ მოიგო მეოთხე პარტია. კოვალევსკაიას (რუსეთი) უპირატესობა ჰქონდა ვასილევიჩთან (უკრაინა) — 1,5:0,5 პენგმა (რომელიც ჰოლანდიის სახელით გამოდის) ორივე პარტია მოუგო დიომინას (რუსეთი), კინ კანინგმა (ჩინეთი) სძლია კახიანს (გერმანია) — 1,5:0,5. სკრიპჩენკო — ლოტიემ (მოლდავეთი) ჯერ წააგო გალიამოვასთან (რუსეთი), შემდეგ მოიგო, ორ დამატებით პარტიაში კი უპირატესობას მიაღწია: 1,5:0,5 მარიჩმა (იუგოსლავია) დაამარცხა ჩმილიტე (ლიტვა) — 2,5:0,5.

მეოთხე წრის პირველ პარტიებში ვაჟები ძალიან ფრთხილობდნენ: ყაიმით დასრულდა მაჩეია — ანანდის, ლეიტაო — ხალიფმანის, სვიდლერ — ადამსის, მოროზევიჩ — ტკაჩოვის, ელვესტ — გრიშჩუკის, შიროვ — გელფანდისა და ბარეევ — გულკოს პარტიები. მხოლოდ დრეევმა მოუგო ტოპალოვს.

ქალთა მეორე წრეს პირველ პარტიებში (რაც იგივე, მეოთხედფინალია) სიუ ჟუნმა დაამარცხა ჟუკოვა, კოვალევსკაიამ — პენგი. კინ კანინგისა და პეპტანის, აგრეთვე მარიჩ — სკრიპჩენკო — ლოტიეს პარტიები ყაიმით დასრულდა.

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

***ვაჟები: 1/8 ფინალი***

ხალიფმანი (რუსეთი) — ლეიტაო (ბრაზილია) 1,5:0,5

ანანდი (ინდოეთი) — მაჩელა (პოლონეთი) 1,5:0,5

ტკაჩოვი (საფრანგეთი) — მოროზევიჩი (საფრანგეთი) 1,5:0,5

სხვა წყვილებში დანიშნულია დამატებითი პარტიები.

***ქალები. 1/4 ფინალი***

კოვალევსკაიამ (რუსეთი) მოუგო პენგს (ჰოლანდია), სიუ ჟუნმა (ჩინეთი) — ნატალია ჟუკოვას (უკრაინა).

# ნბა ჯემისონი პლუს ბრაიანტი = 102 ქულა!

ნბა-ს ჩემპიონატში გუშინ 9 მატჩი გაიმართა. ღირსშესანიშნავი ამბები მოხდა სანფრანცისკოში, სადაც „გოლდენ სტეიტი" მასპინძლობდა შარშანდელი სეზონის ჩემპიონს — „ლოს-ანჯელეს ლეიკერს". მაყურებელი აღაფრთოვანა მასპინძელთა გუნდის ფორვარდის — ენტოენ ჯემისონისა და მისი მეტოქის — მცველ კობი ბრაიანტის დუელმა. სნაიპერთა დავა ფრედ დამთავრდა, თითოეულმა 51-51 ქულა დააგროვა! რაც შეეხება თავად შეხვედრის შედეგს, იგი ოვერტაიმში მოიგეს „მწვანე შტატის" კალათბურთელებმა — 125:122. ფილ ჯექსონის შეგირდებისთვის ეს უკვე მეექვსე მარცხია მიმდინარე ჩემპიონატში.

„ტორონტომ" წააგო „პორტლენდთან" და ამის ძირითადი მიზეზი გახდა ვინს კარტერის არყოფნა (იგი ტრავმირებულია და კიდევ რამდენიმე მატჩს გამოტოვებს). „ტრეილ ბლეიზერსის" შემადგენლობაში გამოირჩეოდნენ დეიმონ სტუდემაიერი და რაშიდ უოლესი, რომელთა წყალობით მეორე მეოთხედში „პორტლენდი" 8 ქულით დაწინაურდა და ეს სხვაობა გუნდმა ბოლომდე შეინარჩუნა. უნდა ითქვას, რომ „პორტლენდის" შემადგენლობაში არ იმყოფებოდა ცენტრალური თავდამსხმელი — არვიდას საბონისი.

***სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა:***



შეტევაზეა „გოლდენ სტეიტის" ბომბარდირი ენტოენ ჯემისონი

***ვაშინგტონი — ლოს-ანჯელეს კლიპერსი — 88:93***

ლოპესი — 15, ჰამილტონი — 14, სტრიკლენდი — 14, ჰოვარდი — 12; ოდომი — 20, მეჯეტი — 18, დულინგი — 12.

***შარლოტი — ინდიანა — 91:88***

უესლი —32, მეშბურნი — 26, კემპბელი — 11; მილერი — 23, როუზი — 18, ო,ნილი — 13, ბესტი — 11.

***მაიამი — დენვერი — 95:78***

გრინი — 16, გრანტი — 15, ჯონსი — 14, ჰარდუეი — 13, მეისონი — 12; მაკდაესი — 15, კლარკი — 12, ვან ექსელი — 11.

***ნიუ-ჯერსი — მილუოკი — 87:109***

დუგლასი — 18, მარტინი — 17, უილიამსი — 17; ალენი — 30. რობინსონი — 27, კასელი — 13.

***ჩიკაგო — კლივლენდი — 88:92***

მერსერი — 34, არტესტი — 20, ფიტცერი — 14; უეზერსპუნი — 23, მილერი — 20, გეტლინგი — 19.

***დალასი — ნიუ-იორკი 94:85***

ფინლი — 21, ეისლი — 17, დევისი — 15, ნეში — 14, ნოვიცკი — 12, კემბი — 18, ჰიუსტონი — 17, ტომასი — 15.

***სიეტლი — დეტროიტი — 99:112***

პეიტონი-29, ლიუისი — 15, ბეიკერი — 12; სტეკჰაუსი — 41, ბარუში — 17, ეტკინსი — 14, უოლესი — 11.

გუნდების სატურნირო მდგომარეობა

## აღმოსავლეთის კონფერენცია

### ატლანტიკის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 14 | 4 | 78 |
| ნიუ-იორკი | 18 | 8 | 60 |
| მაიამი | 7 | 10 | 47 |
| ბოსტონი | 8 | 9 | 44 |
| ორლანდო | 8 | 11 | 42 |
| ნიუ-ჯერსი | 6 | 13 | 32 |
| ვაშინგტონი | 4 | 15 | 21 |

### ცენტრალური დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| კლივლენდი | 11 | 7 | 61 |
| შარლოტი | 12 | 8 | 60 |
| ტორონტო | 9 | 9 | 50 |
| დეტროიტი | 9 | 10 | 47 |
| ინდიანა | 8 | 10 | 44 |
| მილუოკი | 8 | 10 | 44 |
| ატლანტა | 4 | 14 | 22 |
| ჩიკაგო | 2 | 16 | 11 |

## დასავლეთის კონფერენცია

### შუადასავლეთის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| იუტა | 14 | 4 | 78 |
| სან-ანტონიო | 11 | 6 | 65 |
| დალასი | 12 | 8 | 60 |
| ჰიუსტონი | 10 | 8 | 56 |
| მინესოტა | 10 | 8 | 56 |
| დენვერი | 10 | 9 | 53 |
| ვანკუვერი | 7 | 11 | 39 |

### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 12 | 4 | 75 |
| ლეიკერსი | 14 | 6 | 70 |
| ფინიკსი | 11 | 5 | 69 |
| პორტლენდი | 13 | 7 | 65 |
| სიეტლი | 9 | 11 | 45 |
| გოლდენ სტეიტი | 6 | 13 | 32 |
| კლიპერსი | 6 | 14 | 30 |

# შეკითხვა „ლელოს"

გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენ ქვეყანაში ვრცელდება გაზეთი „ლელო" და მოსალოდნელია თუ არა მისი პერიოდულობის გაზრდა.

*გაბრავა, მესხი, სტურუა, ხასაია, ფუტკარაძე და სხვ. ხონი*

**პასუხი: „ლელოს" რამდენიმე მკითხველი ჰყავს მოსკოვში, თურქმენეთში, ისრაელში და გერმანიაში. სამაგიეროდ, მთელ მსოფლიოში ეცნობიან „ლელოს" პუბლიკაციებს ინტერნეტის მეშვეობით. რაც შეეხება პერიოდულობის გაზრდას, უშუალოდ „ლელო", ჯერჯერობით, ისევ ორჯერ გამოვა კვირაში. სამაგიეროდ, ორშაბათობით, გამოდის წმინდა საფეხბურთო გაზეთი (მკითხველმა უკვე 7 ნომერი მიიღო) „ლელოს" ყოველკვირეული დამატება „ქართული ფეხბურთი", რომელიც საქართველოსა და უცხოეთის საფეხბურთო ცხოვრების ცინცხალ ამბებს აქვეყნებს. ეს დამატება ორშაბათობით, დილის 5 საათზე იბეჭდება და დაუყოვნებლივ გადის რეალიზაციაში.**




**8 დეკემბერი, პარასკევი**

***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა (13.20), იტალიის (15.50), ჰოლანდიის (16.40, (21.15), შოტლანდიის (18.25, 1.20), გერმანიის (23.10) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ევროპის ფეხბურთი (20.25). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. დევისის თასის ფინალი (17.00), ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი, ქალები (23.20), ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30), ***ESPN.*** იტალიის ფეხბურთი (6.00), ინგლისის პრემიერლიგა (12.00), ჩემპიონთა ლიგა (17.00, 20.00,1.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფა-ს თასი (17.45), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00).

**9 დეკემბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.15, 18.25), შოტლანდიის (15.50), ბრაზილიის (17.35), ინგლისის (20.35), მინიფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.25), „შაბათ საღამოს": იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატი (23.25), „შაბათ საღამოს" გაგრძელება (1.35), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (6.00, 16.30), ინგლისის პრემიერლიგა (21.30), კალათბურთი. ნბა (2.00, 2.30), ***EUROSPORT.*** თხილამურები. მსოფლიო თასი (12.30, 13.00, 13.30, 22.30), ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (0.00). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.50), ჩოგბურთი. დევისის თასი (19.00) ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები (22.55).

**10 დეკემბერი, კვირა**

***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (13.25), იტალიის (14.55, 23.25), ესპანეთის (16.35, 1.35), საფრანგეთის (19.20), ინგლისის (20.00), მინი ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.25), ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები (11.49, 22.55), ჩოგბურთი. დევისის თასის ფინალი (16.00), საპარაშუტო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.00), საჭადრაკო მიმოხილვა (21.30), ***ESPN.*** ცხენოსნობა. დაიჯესტი (8.00), ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა: „ლეიკერ სიტი" – „კოვენტრი სიტი" (20.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (0.00).

## კროსვორდი №96



**თარაზულად:** 1. საჭადრაკო ფიგურა, 4. სპორტული სამოსი ძიუდოში, 6. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 8. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი, 9. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 10. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 13. აზიის კონტინენტალური საფეხბურთო კონფედერაციის წევრი ქვეყანა, 15. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 16. „გორდას" ფეხბურთელი, 17. ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი, მცველი, 18. სართიჭალის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 2. სპორტკლუბი საქართველოში, 3. საბერძნეთის კლუბი, 4. წარსულში „ბარსელონას" ცნობილი მცველი, 5. ესპანეთის კლუბი, 7. სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა, 10. წარსულში ცნობილი ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელი, 11. ბრაზილიის სპორტული ჟურნალი, 12. არმიის სპორტული კლუბი (აბრევიატურა), 13. სპორტული ტელეარხი ინგლისში, 14. ინგლისელი ფერადკანიანი ფეხბურთელი, ნახევარმცველი.

## №95 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. დანი, 7. ბრასი, 8. „სულორი", 11. ნავი, 12. სეოკი, 13. საპორო, 16. სო, 17. ელო, 18. კოპა, 20. ბლანი, 21. ედუ, 22. გოლი, 24. შმაროვი, 27. ფილია, 29. ფილა, 30. „დუკლა", 31. პია. **შვეულად:** 1. ტრეკი, 2. ისა, 3. იუკო, 4. ტოტო, 5. „დინამო", 6. ნავასარდოვი, 9. ბერლუსკონი, 10. ბაფთა, 14. რტი, 15. „კასტორია". 18. კაისა, 19. „თორი", 23. ბა, 25. მტკ, 26, როა, 28. ილი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. e4!
1. ...მფ:d4 2. ლc3X.
1. ...მფ:f4 2. ლg3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.